193

№ 263
დეკემბრის 8, კვირა 1902 წ.
1877

ივერია

№ 263
დეკემბრის 8, კვირა 1902 წ.
1902

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ლევან ანტონის ძე, ანტონ ნიკოლოზის ძე და მარიამ მოსეს ასული ფურცელაძენი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი თავისი ძვირფასის მეუღლისა, ხოლო დანარჩენი ორნი რძლისას

ანნა გიორგის ასულის ფურცელაძისას.

პანაშვიდი იქნება ამ თვის 8 დილის თორმეტ საათზედ და საღამოთი შვიდ საათზედ. დიდი მთავრის ქუჩაზედ (წინად ნაბერეჟნაია) როტინოვის სახლებში № 10 მიცვალებულის გასვენება დანიშნულია ამ თვის ცხრას, ორშაბათს დილის 10 საათზედ ჩუღურეთის წმიდა ნიკოლოზის ეკლესიაში და დაკრძალვენ კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზედ. (1—474—1)

1-ლ დეკემბრიდგან წლის დამლევამდე გაზეთი «ივერია» ღირს 1 მან. 50 კაპეიკად.

1903 წელს

გაზეთი „ივერია“ გამოვა იმავე სივრცით და პროგრამით, როგორც დღემდე გამოდიოდა,

ფასი გაზეთისა მთელის წლით ისევ თ უ მ ა ნ ი ა. ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

☞ ვინც ახლავე დაიბარებს გაზეთს მერმისისთვის და ერთს თუმანს წარმოადგენს, ამა ნოემბრისა და დეკემბრის ნომრები მუქთად გაეგზავნება. ☜

ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისში:—„ივერიის“ რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხ. გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა).
ქუთაისში:—ბეჟანეიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში, ქუთ. წიგნების გამომც. ამხანაგობის კიოსკში, აგრეთვე სოსიკო მერკვილაძესთან.
ბათუმში: ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში, და ჭელიძის წიგნის მაღაზიაში.
ფოთში: ავქსენტი ისიდორეს ძე ბიბილუასთან.
ბაქოში:—ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოზის ქ., ქალანთარის ქარვასლის პირდაპირ).
საგურამოში. პეტრე მაჭავარიანთან.
შორაპანში:—პართენ ნასიძესთან.
განჯაში:—სოფრონ კანდელაკთან (სადგურზედ).
გორში:— ანტონ კასრაძესთან.

განცხადება პირველ გვერდზედ—10 კაპ. სტრ., მეოთხეზედ—5 კაპ. მთელი ფერდი გვერდი გაზეთისა ცალკე მორიგებით.

12 თვ. 10 მ., 11-თ—9 მ. 50 კ., 10-თ—8 მ. 75 კ., 9-თ—8 მ., 8-თ—7 მ. 25 კ., 6-თ—6 მ. 50 კ., 5-თ—5 მ. 50 კ., 4-თ—4 მ. 75 კ., 3-თ—3 მ. 50 კ., 2-თ—2 მ. 75 კ., 1-თ—1 მ. 50 კ.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверія“.

ჟირარდის მანუფაქტურის
საწყობში

ახლად მიღებულია მებელზედ გადასაკრავი მატერიები, ფარდები, ხალიჩები, იატაკზე გასაშლელები, კიბეზედ გასაფენები (Дорожки), ფარდების ასაწევები, ფოჩები და სამკაულები, ხელოვნური ტყავები, ლინოლეუმი.

დონერ—ლეიტცი.

ს წ ყ ო ბ ი ქ ა ღ ა ლ დ ი ს

მოსკოვი 1882 წ.

დიტიატკოვსკის ამხანაგობის

ნოვგოროდი 1896 წ.

საწერ-ქაღალდის ქარხნებისა ტ ფ ი ლ ი ს შ ი

ქაღალდი საფოსტო, საწერი, წიგნის საბეჭდი, გაზეთის საბეჭდი და საზოგადოდ ყოველგვარი საბეჭდი ქაღალდი ყველა ნომრისა, აგრეთვე ალბომის ქაღალდი ყველა ფერისა, თუთუნის სახვევი, ჩაის სახვევი, მუნდშტუკისა, საზოგადოდ საქონლის სახვევი და სამანუფაქტურო, შაქრის სახვევი და კარდონისა.

მაღაზია საკანცელარიო, სამწერლობო, სახაზავ და სამოწაფეო იარაღ-კუთვნილებათა. საქონელი **ფაბრიკის ფასად.**

ადრესი წერილებისა: ერევნის მოედანი, სახლი ტფილსის საკომერციო ბანკისა.
ტელეგრამებისათვის: Тифлисъ. Дитятковское Товарищество.
ტელეფონი № 66. (30—5.—25)

ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა აცხადებს საყოველთაოდ, რომ კვირას, 15 დეკემბერს, დილის 12 საათზე ქართულ თეატრის ფოიეში დანიშნულია ქართულ **დრამატიულ საზოგადოების წევრთა ჩვეულებრივი საზოგადო კრება**.

განსახილველი საგნები:

1) წარსულის წლის ანგარიში.
2) სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა 1902—3 წლისა.
3) მოხსენება არტისტთა ფონდის შესახებ.
4) არჩევანი გამგეობის ერთის წევრისა და სარევიზიო კომისიის სამის წევრისა.
5) მოხსენება შესახებ ქართულის წარმოდგენების მართვისა პროვინციებში.
6) მოხსენება შესახებ დრამატიულ კურსების დაარსებისა.
7) მოხსენება შესახებ დასის მთელის წლით შენახვისა.
8) არჩევანი საზოგადოების ახალის წევრებისა.

წარმოდგენა 21. „იაფ-ფასიანი წარმოდგენა“. ტელეფონი № 617.

ქართული თეატრი

კვირას, 8 დეკემბერს, 1902 წ.

◆ მეცხრე იაფ-ფასიანი წარმოდგენა ◆

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილ იქნება

დაკლებულის ფასებით

ო რ ი პ ი ე ს ა

I

ციმბირელი

კომედია 4 მოქმ. ავქსენტი ცაგარლისა.

II

მოტყუება

ვოდევილი 1 მოქმ. რუსულიდგან.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: გაბუნია-ცაგარლისა, ნ. გამყრელიძისა, ალ. კარგარეთელი, ოლ. ლეჟავა, ნ. რიონელი. ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, დ. აწყურელი, ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი, ს. სვიმონიძე, გოცირიძე.

ადგილების ფასი: ლოჟები 4 მ.-დან 8 მ. დე, პარტერი 50 კ.-დან 1 მ. 50-კდე, ამფითეატრი 60 კ.-დან 1 მ.-დე გალერეია 20 კ., დან 35 კ.-მდე.

შეგირდებისათვის ადგილები 40 კაპ.

დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.

მზადდება წარმოსადგენად „ტარტიუფი“ „მეჯლისი იტალიელებითურთ“ (აბაშიძის ბენეფისი), „სიძე-სიმამრი“, „გრიგალი“.

თეატრის გამგეობა უმორჩილესად სთხოვს მაყურებლებს, პიესის მოქმედების დროს ტაშს ნუ დაუკრავენ და ნუ გამოიწვევენ ხოლმე მსახიობთ, რადგან უდროვო-დროს მოქმედების შეწყვეტა პიესას ახდენს და მსახიობთაც აკრძალული აქვთ მოქმედების დასრულებამდე გამოსვლა თავის დასაკრავად.

რეჟისორი **ვალ. გუნია.**

---

21 დეკემბერს არტისტიულ საკონცერტო ზალაში გაიმართება ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ

საღამო,

რომელშიაც მიიღებენ მონაწილეობას: ბბ. ნიკოლაევი, (არტისტი), პალივკა (ვიოლონჩელისტი), ვილშაუ (მესკრიპკე), ბროდეიმუტინი (მომღერალი), ქ. ბაბაევისა, ბ. აკაკი წერეთელი, ვ. ბალანჩივაძე და ქართული ხორო (ქალებისა და კაცებისა) ბ-ნი ფალიაშვილის ლოტბარობით.

ბილეთები იყიდება ქ. შ. წერა-კითხვ. გამავრც. საზოგად. კანცელარიაში (თავად-აზნაურთა ქარვასლა).

კონცერტის შემდეგ გაიმართება ქართულ-ევროპიული ც ე კ ვ ა

(5—6.—3)

ე ქ ი მ ი

ვ. ღამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო ავათმყოფებს დილის 10—11 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642. (წ.)

ქართველ ქალთა ამხანაგობის

სამკერვალოში

მიიღებენ ყოველგვარ ხელსაქმეს: თეთრეულს, ფერადი ძაფით ნაკერებს და **კაბებს** ქალებისას და ბავშვებისას.

ბარონის ქუჩა, № 12.

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ დღე კბილის სნეულებით ავადმყოფები დილის 8—10 საათ. და 11—2-მდე, ხოლო საღამოობით 5—7-მდის.

კვირა-უქმე დღეებში 9—2-მდე და საღამოთი 5—7. ელისაბედის ქუჩა (კუკიაში), სახლი № 38. (წლ.)

ექიმი ალ. მაღალაშვილი

მიხეილის ქუჩა, 30. ტელეფონი № 450

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს დილის 10—1-დე და საღამოთი 6—8-დ. წლ.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დ ი ლ ა ო ბ ი თ:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ჟ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, ნერვებისა და შინაგანის ავადმყოფისა.

მ. ზ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

ზ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგიან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:

ა. ნ. შპაკოვსკი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტეპარია) შინაგანისა, ვენერიულ და კანის ავადმყოფობისა.

ზ. ა. თარხანოვი. 7—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

ხ. ტ. არზანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გუმართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памят. Ворон. (წლ.

ტფილისის კერძო სამკურნალო

გედევანიშვილისა

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21, ავჭალის ქუჩის დასაწყისში.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დ ი ლ ი თ:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.

ვ. დ. ღამბაშიძე—შინაგან.: 9—10.

ბ. ზ. მაღალაშვილი—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11ს.

კამოევი.—საშარდეს (ხირურგიული) ავადმყოფთათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11—მდის.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათ.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებითა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ა. ზ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—1 საათ.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—სამშაბათობით და პარასკევობით 1—2 ს., კვირაობით 10—11 ს.

ზრ. ვ. სობოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

ზ. მ. ამბარდანოვი—ათაშანგისა, კანისა და საშარდესი, 1—2 ს.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ა. ზ. მაღალაშვილი—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

მასაჟი და საექიმო გიმნასტიკა: ორშაბათობით ოთხშაბათობით და პარასკეობით 6—8 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით, კტრაოები 3 მან. 5 მანეთამდე. (წ.)

რედაქციისაგან.

რადგან ზოგიერთნი მკითხველნი შემოგვეკითხნენ, ჩვენის გაზეთის გამოცემას კვლავ ამხანაგობა განაგრძობს თუ არაო, საჭიროდ მიგვაჩნია განვმარტოთ, რომ ამხანაგობამ იკისრა ვალდებულობა ნივთიერი ღონისძიება მოიპოვოს გაზეთ „ივერიის“ გამოცემისათვის, ხოლო უფლება გაზეთის გამოცემისა წინანდელებრ ალ. სარაჯიშვილს ეკუთვნის და ეგ უფლება შეიძლება გადაეცეს ამხანაგობას მხოლოდ ბეჭდვის საქმეთა მთავარ-სამმართველოს ნება-რთვით.

ტფილისი, 8 დეკემბერი.

ქართულს პატარა მწერლობაში დიდი უბედურება მოხდა: გაზ. „ცნობის ფურცლის“ რედაქციამ თავის გაზეთის 2003-ს ნომერში გამოაცხადა: „ჩვენ-კი იძულებულნი ვართ და სრულიად ვსწყვეტავთ ამიერიდან ამ გაზეთთან (ესე იგი „ივერიას“-თან) ყოველ გვარს ლიტერატურულს ურთიერთობას“.

ეს განცხადება, როგორც ეხლავე საბუთებით დავამტკიცებთ, ჰნიშნავს ომის გამოცხადებას.

რა თქმა უნდა, „ცნობის ფურცლის“ რედაქცია რომ დინჯსა და საფუძვლიან ინგლისელებისაგან იყოს შემდგარი, ვუპასუხებდით: Nous sommes prêts, commencez, messieurs les anglais!

მაგრამ, ღვთის წყალობით, სალაშქროდ გამოსულ რედაქციაში სულ ჩვენი მამულის შვილები ბრძანდებიან და რადგანაც ჩვენს მოძმეთ ზოგჯერ უსაბუთო ბუტიაობაც სჭირთ, ამისათვის უნდა ვუპასუხოთ: Assez, finissez mes-entents!

მართლა და ყოვლად შეუწყნარებელი ბავშვობაა ჩვენს წინააღმდეგ ომის გამოცხადება.

გავიხსენოთ, მკითხველნო, რა არის მიზეზი ამ უცნაურის ომის გამოცხადებისა და ან რა დააშავა „ივერიამ“ წინაშე „ცნობის ფურცლის“ რედაქციისა.

28-ს ნოემბერს „ცნობის ფურცლის“ სამმა რწმუნებულმა კაცმა გამოუგზავნა „ივერიის“ რედაქტორს შემდეგი წერილი:

„მოწყალეო ხელმწიფევ! გაზ. „ცნობის ფურცლის“ რედაქციამ დაგვავალა და მოგვანდო გაცნობოთ მისი სახელით შემდეგი გარემოება: გაზეთ „ივერია“-ში (№ 251) დაბეჭდილია წერილი №-სა ამ სათაურით: „გზა და გზა“, რომელიც, სხვათა შორის ასეთ ადგილს შეიცავს:

„იმერეთის ზოგიერთა მხედარი განთქმულია იმით, რომ ყოველ ნაირ ჯორს თოხარიკს ასწავლის. ეს ახალი ხმოსანიც ამ მხედარს წააგავს პედაგოგიაში. მან არა ერთი გასწვრთნა, გაალექსა და მისის წყალობით ყურს უტკბობენ მკითხველ საზოგადოებას! პედაგოგიობიდგან პირდაპირ პოლიციაში ამოჰყო თავი. სამსახურიც ძალიან მოსწონდა, მაგრამ მტრებმა არეიეს. მტრების შეშინებულმა **მშვიდი ნავთსაყუდელი იპოვა „ცნ. ფურც.“ წმ. მაგდალინას თავ-შესაფარში**“.

„ამ წერილის ზოგიერთი ადგილები და განსაკუთრებით-კი აქ ამოწერილი სიტყვები „ცნ. ფურცლის“ რედაქციას და რედაქციის ყველა თანამშრომლებს მიაჩნიათ მათი სახელისა და პიროვნების სასტიკ შეურაცხყოფად. **„ცნობის ფურცლის“ რედაქცია ფიქრობს, რომ ეს მისი შეურაცხმყოფელი ადგილები ხსენებულ წერილში გაზეთ „ივერიის“ რედაქციას განზრახ არ დაუბეჭდავს**, არამედ შეცდომით მოსვლია.

ამიტომ, „ცნობის ფურცლის“ **რედაქცია თხოულობს** თქვენგან №-ის წერილის **გამონენობრივ დაკმაყოფილებას. იგი** თავის თავს **დაკმაყოფილებულად ჩასთვლის**, თუ „ივერიის“ **რედაქცია „ივერიაშივე“ გამოაცხადებს თვის მწუხარებას ხსენებულ წერილის დაბეჭდვის გამო.**

გაცნობებთ რა ამას, გთხოვთ თქვენი გარდაწყვეტილება შეგვატყობინოთ **დღეიდგან ოთ-**

ხის დღის განმავლობაში. დავშთებით თქვენი მარად პატივცემულნი: პეტრე ყიფიანი, სვიმონ ყახაშვილი, ფილიპე გოგიჩაიშვილი».

ამაზედ „ივერიის" რედაქტორმა უპასუხა«

„მოწყალენო ხელმწიფენო, თქვენ ბრძანებთ, რომ „ცნობის ფურცლის" რედაქციას და რედაქციის ყველა თანამშრომლებს მიაჩნიათ მათის სახელისა და პიროვნების სასტიკ შეურაცხყოფად თქვენს წერილში მოყვანილი ადგილი.

ამაზედ მოგახსენებ, რომ „ივერიის" რედაქციას არავითარი განზრახვა არცა ჰქონია და არცა აქვს რაიმე შეურაცხყოფა მიაყენოს ან „ცნობის ფურცლის» რედაქციას, ან მისს თანამშრომლებს, **როგორც თვით „ცნობ. ფურცლის რედაქციაც დარწმუნებული ყოფილა.**

რაც შეეხება იმ სიტყვებს, რომელიც „ცნობის ფურცლის" რედაქციას შეურაცხმყოფად მიუღია, ჩვენის აზრით, მას ამ სიტყვებისათვის, ჩვენდა სამწუხაროდ, ისეთი მნიშვნელობა მიუცია, რომელიც „ივერიის" რედაქციას აზრადაც არა ჰქონია.

დავშთები თქვენი მარად პატივის-მცემელი ალ. სარაჯიშვილი. 1 დეკემბერს 1902 წ.

ამ ორ წერილიდამ მკითხველი დაინახავს, რომ **განზრახ შეურაცხყოფას** არავითარი ადგილი არა ჰქონია, რადგანაც რწმუნებულ კაცების წერილში ნათლად არის გამოთქმული, რომ „შეურაცხმყოფელი ადგილები გაზეთ „ივერიას" განზრახ არ დაუბეჭდიაო" და „ივერიის" რედაქციაც ამ აზრს დასთანხმებია. მაშასადამე, განზრახ შეურაცხყოფის ბრალდება, თვით რწმუნებულ კაცების გადმოცემით, უქმდება და რაკი, „ივერიის" რედაქტორისაგან ამ გვარივე წერილი მიიღეს, აშკარაა, „ცნობ. ფურც." უნდა დაშოშმანებულიყო.

მაგრამ დაშოშმანების მაგივრად ბავშვურად გაწიწმატდა და იმ აზრს, რომელიც 28-ს ნოემბერს წერილით გამოსთქვა, თვითონვე წიხლი ჰკრა, თავისი პირველი წერილი განზრახ დამალა და საქვეყნოდ სულ სხვა გამოაცხადა: „№-ის წერილს ერთად ერთი აზრი აქვს, შეურაცხყოს ჩვენის გაზეთის თანამშრომლები და მთელი რედაქციაო". როგორ, 28-ს ნოემბერს ამგვარი აზრი არა ჰქონდა „ივერიის" რედაქციას, როცა ის ადგილები დაბეჭდა და 4-ს დეკემბერს-კი აქვს? რას მივაწეროთ ამგვარი თვისის აზრის უკუგდება? მეხსიერების ღალატს, ბავშვურ გაწიწმატებას თუ ორ-პირობას? რაც უნდა იყოს, ეს ისეთი საქციელია, რომელიც არ ეკადრება არამც თუ ყოველ-დღიურ გაზეთის პატრონს, არამედ უსუსურს ბავშვსაც.

ეს ერთი ტყუილი, მეორე ამაზე უარესია.

„ცნობ. ფურც." რედაქცია ბრძანებს: „გაზეთში (ესე იგი „ივერიაში") დაბეჭდილია, რომ მეორე ქართული რედაქცია (ესე იგი „ცნ. ფ.") წმინდა მაგდალინას თავ-შესაფარია". განა გაგონილა ამისთანა დამახინჯება სადავო სიტყვებისა? აი ეს სიტყვები, რომელმაც ასე ააღელვა „ცნ. ფ." რედაქცია, რომ ომიც-კი გამოგვიცხადა და გაშმაგებულმა სწორედ ამოწერაც ვერ მოახერხა: „მტრების შეშინებულმა მშვიდი ნავთსაყუდელი იპოვა „ცნობის ფურ."-ის წმიდა მაგდალინის თავშესაფარში". ამ სიტყვებიდამ ყველა თვალხილული დარწმუნდება, რომ „ცნობ. ფ."-ს კერძო თავ-შესაფარი ჰქონია და არავინ არ დაასკვნის, რომ თვით რედაქცია იყოს თავშესაფარი.

მაგრამ, სჯობს ამას თავი დავანებოთ, რა განაც გაუგებარს, კერპსა და ჯიუტს ხალხს ვერასოდეს ვერ დაარწმუნებ, რომ ორჯელ-ორი ოთხია.

ამ გაუგებრობას არ დასჯერდა „ცნობის" ფურცლის რედაქტორი და 4-ს დეკემბერს მესამე წერილიც მოგვახალა. აი ეს წერილი:

გაზ. „ივერიის" რედაქციას. მ. ხ. ამასთანავე გთხოვთ მოსპოთ ბეჭდვა „ცნ. ფურც." განცხადებისა და გაზეთ „ივერიის" გზავნა „ცნ. ფურცლის" სახელზედ. **ალ. ჯაბადარი**".

ღმერთმა მეტი დარდი ნუ მისცეს ჩვენს „ივერიას!"

ხოლო იმას-კი ვერ დავპირდებით ბ-ნს ალ. ჯაბადარს, რომ ამას იქით „ცნობის ფურცელ"-ზე აღარას ვიტყვით; პირიქით, ჩვენი მოვალეობაა უფრო კარგად დავაკვირდეთ მის საქვეყნო მიმართულებას, მის ზნეობრივ და გონებრივ მნიშვნელობას ჩვენს მწერლობაში და ის ადგილი მივუჩინოთ, რომლისაც ღირსია. ეს არის ჩვენი მოვალეობა და ჩვენი უფლება.

ტფილისი

დღეს, 8 დეკემბერს მანთაშევის საკუთარ დარბაზში (Собраніе) იქმნება სამუსიკო-დრამატიული საღამო დედათა მასწავლებელთა საზოგადოების სასარგებლოდ. ბილეთებ-ფასი 1-5 მანეთამდეა. იმედია ჩვენი საზოგადოება უყურადღებოდ არ დასტოვებსდა და ესწრება ამ საღამოს.

✦ პარასკევს, ალექსანდრე ნეველის სამხედრო ტაძარში მათ იმპერატორებით უდიდებულესობის ნიკოლოზ ალექსანდრეს ძის სახელწოდების დღეს, გარდახდილ იქმნა წირვა და პარაკლისი. წირვას დაესწრო კავკასიის მთავარმართებლის თანაშემწე ფრეზე და ღენერლობა. საღამოზედ ქალაქი გაჩირაღდნებული იყო.

✦ ხვალ, 9 დეკემბერს, შესრულდება სწორედ 35 წელიწადი მას აქეთ, რაც ხელმწიფე იმპერატორმა ალექსანდრე II-მ მიჰმართა იმ თვისის ბრძანებით უმართებულესს სენატს, რომლითაც ძველი სასამართლოები ჩვენში მოისპოდა და ახალის წესის სასამართლო იქმნა შემოღებული; ეს ამბავი მოხდა 9 დეკემბერს 1867 წელსა. ამავე დროს მოგვენიჭა ნოტარიალური წესდება, რომელიც რუსეთში შემოღებული იყო მხოლოდ 14 აპრილს 1866 წელსა. რაოდენადაც სასიამოვნოა ჩვენთვის ამ დღის მოგონება, იმდენად სამწუხაროა, რომ, ამდენის ხნის შემდეგ, მაინც კიდევ დღევანდლამდე ვერ ვეღირსეთ ნაფიც მსაჯულთა დაწესებულებას.

✦ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლისათვის შეუთვლია, სასურველია გადადებულ ფულით დაიბეჭდოს შემდეგი წიგნებიო: ქართული გუჯრები, მეფე ვახტანგ მეექვსის კანონები და როსტომიანიო.

✦ სამშაბათს, 10 დეკემბერს კავკასიის სამეურნეო საზოგადოების წევრთა კრებაზედ განაგრძობენ თავ. ვ. მიქელაძის მოხსენების განხილვას,

✦ დღეს ვაჟთა პირველ გიმნაზიის სადგურში დანიშნულია კრება მოსკოვის საარქეოლოგიო საზოგადოების კავკასიის განყოფილებისა.

✦ ორშაბათს, 9 დეკემბერს, დანიშნულია ქალაქის საბჭოს ხმოსანთა კრება.

✦ დღეს ქალაქის საბჭოს დარბაზში დანიშნულია ხელოსანთა წარმომადგენლების კრება.

✦ დღეს ტფილისის „სობრანიის" დარბაზში დანიშნულია სამუსიკო-სალიტერატურო საღამო ტფილისის მასწავლებელ და აღმზრდელ ქალთა საზოგადოების სასარგებლოდ.

✦ გუშინ კავკასიის რკინის გზათა სამმართველოს სადგურში გარდახდილ იქმნა პარაკლისი იმის გამო, რომ ერევნის რკინის გზაც ამ მმართველობის ხელში გადავიდა, პარაკლისს დაესწრნენ რკინის გზების უფროსის მოადგილე ბ-ნი შაიკევიჩი, განყოფილებათა უფროსნი და სხვა მოხელენი.

✦ როგორც უკვე მოხსენებული გვქონდა, დღეს „სევერნი ნომრების" სადგურში დანიშნულია „ფარმაცევტთა ამხანაგობის სააფთიაქო საქონლის ვაჭრობის" წევრთა კრება. თუ კრებას წევრთა საკმაო რიცხვი არ დაესწრო, კრება გადადებულ იქმნება 15 დეკემბრისათვის. კრებამ უნდა განიხილოს საბოლოოვად ამხანაგობის მაღაზიის არსებობის საქმე.

✦ ქალაქის მეშჩანთა სტაროსტა ამ ჟამად შესდგომია იმ სიის შედგენას, თუ ვის რამდენი უნდა გარდახდეს ხარჯი, ხარჯის ამკრებთ განუცხადებიათ, რომ ჩვენ ფულს არ ავკრებთ თუ ხელში არ გვექირვება მეშჩანთა მმართველობისაგან შემოწმებული ქაღალდი, რომელშიაც აღნიშნული უნდა იყოს, თუ ვის რამდენი შეჰხვდა გარდასახდელადაო.

✦ გუშინ საქალაქო გამგეობის სადგომში მოხდა ვაჭრობა ვერის ხიდის შემოსავლის იჯარით გასაცემად. ვაჭრობის მსურველნი ბევრნი გამოცხადდნენ; იჯარის ფასმა შესამჩნევად აიწია; 17,050 მ., რასაც ამ ხიდის მოიჯარადრე ბ-ნი მამინაიშვილი იხდიდა, 20,500 მანეთამდე ავიდა.

✦ კავკასიის პირველ ოლქის ინჟინერმა მისწერა ყველა მადანთა პატრონებს, წარმომიდგინეთ ანგარიში, წლის განმავლობაში რამდენი ფუთი ნავთი, სპილენძი, რკინა და სხვა ლითონი მოიპოვეთ თითო მადანშიო. ყველა ეს ცნობანი უნდა წარმოდგენილ იქმნას არა უგვიანეს 8 იანვრისა.

✦ დასავლეთ ციმბირის საგეოგრაფიო საზოგადოების განყოფილება მადლობას უთვლის კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას მილოცვისათვის 25 წლის არსებობისა.

✦ ცხინვალში ახირებული გაიძვერობას, მოუკიდნია ფეხი: შემდგარა რაღაც დამზღვევი „ბრბო", რომელსაც ჰყავს სხვა-და-სხვა სოფელში თავისი აგენტები და აზღვევენ გლეხ-კაცს რომელსამე დამზღვევ საზოგადოებაში: ეს აგენტები დიდს მუყაითობას იჩენენ: დაიჭერენ რომელსამე გულუბრყვილო გლეხ-კაცს და ეუბნებიან, კაცო, აი თვეში მე შენ ამდენსა და ამდენს ჯამაგირს დაგინიშნამ და ნება მომეცი შენი სიცოცხლე დავაზღვევინოო; ამ ნაირად გლეხ კაცს ეძლევა რომელსამე მიკიტნისაგან ჯამაგირი; გადის დრო და ჟამი, ამ ხანში უბედურ გლეხს თავის ვითომდა კეთილის მსურველი ნათლი-მამათაც უხდება; დღეს დაჰპატიჟა, ხვალ, ამასობაში მოიპოვა გლეხკაცის სრული ნდობა; ეს ვაჟბატონი-კი, მხიარულს ვახშამზედ, ან სადილზედ მისცემს რასმე საწამლავს, რომელიც უბედურ გლეხს დღეს შეუმოკლებს; მოგეხსენებათ ჩვენი გლეხკაცის გულუბრყვილობა: სიკვდილი ღვთის ნებაო, კაცს რა არ უწერიაო, აი ამ სიტყვებით ინელებს ბედშავი, უპატრონოდ დარჩენილი სახლობა თავის ჭირს. ეს ვაჟბატონი-კი მიდის, აკეთებს საქმეს და იღებს დამზღვევ საზოგადოებისაგან ფულს; იმან თუ 5 ან ათის წლის განმავლობაში გლეხს 150 ან 200 მანეთი მისცა, სამაგიეროდ თვითონ ხუთას-ექვსას თუმანს იღებს საზოგადოებისაგან; ამ გარემოებისათვის პეტერბურგის დამზღვევ სხვა-და-სხვა საზოგადოებას ყურადღება მიუქცევია, გამოუგზავნიათ თავიანთი წარმომადგენლები, რომელნიც ადგილობრივ იძიებენ საქმეებს; პეტერბურგის პალატის პროკურორს მოუწერია ტფილისის საგუბერნიო პოლიციისათვის, რომ ყოველი ღონისძიება და დახმარება აღმოუჩინონ დამზღვევ საზოგადოებათა წარმომადგენლებს.

✦ ქალაქის გამგეობამ 1500 მანეთი გადასდო ქალაქის სასწავლებლებში მოსწავლეთათვის შობის ხის გასამართავად და გასამასპინძლებლად; გუშინ-წინ ქალაქის სასწავლებელთა აღმასრულებელმა კომისიამ თავის კრებაზედ 1500 მანეთი გაანაწილა ამნაირად: 300 მანეთი გადაიდო ჯადო-ფარნის შესაძენად, 100 მანეთი მიეცეს ქალაქის საპროფესიონალო დედათა სკოლას, 100 მანეთი— ქალაქის სახელოსნო სასწავლებელს, 155 მანეთი გადაიდოს შობის ხეების შესაძენად, შობის ხე გაიმართოს ქალაქის გამგეობის სადგომში 25, 26 და 27 დეკემბერს; თითო დღეს მოწვეულ იქმნენ ექვს-ექვსი სკოლის შეგირდები; გარდაწყვეტილია, თითო ბავშვის გამასპინძლება არ აღემატებოდეს ორ-ორ აბაზსა.

✦ ქალაქის წიგნების დამკაზმავთა ამქრის უსტაბაშმა ბ-ნმა ცომაიამ წარუდგინა ხელოსანთა მოურავს საჩივარი, რომ ამ ჟამად ბევრი ამუშავებს წიგნის საკაზმავებს და არა აქვთ-კი აღებული არც ვაჭრობის მოწმობა და მასთანვე არც ამუშავებენ ისეთს ხელოსანს, რომელსაც ოსტატობის მოწმობა ჰქონდესო. ზოგჯერ ამისთანა სახელოსნოში ოცამდე შეგირდი მუშაობს, რომელთაც საქმისა არა გაეგებათრა, არა ჰყავთ ხელმძღვანელი არც შეგირდებს, არც სახელოსნოს; ბევრი ამისთანა სახელოსნოს პატრონები სხვა-და-სხვა დაწესებულებაში მსახურებენ და კარგ ჯამაგირსაც იღებენ; ბ-ნ ცომაიას მოჰყავს მაგალითად ვიღაც არიანცი, რომელსაც ქარხანა გაუხსნია, ოცამდინ შეგირდი შეუგროვებია და თითონაც სამსახურშია, საიდგანაც თორმეტ თუმან-ნახევარს იღებს თვეშიო. ბ-ნი ცომაია დასძენს, ამით ჩვენ, ხელოსნებს, დიდს ვნებას გვაძლევენ და ნდობასაც გვიკარგავენო; ამასთანავე, ეს ვაჟბატონები ისეთს ხერხსაც მიჰმართვენ ხოლმე, რომ მოიპოვონ ნება სახელოსნოს მართვისა, დაიქირავებენ დიპლომიან ოსტატს, დააარსებენ სახელოსნოს და იმ დრომდე ამუშავებენ ოსტატს, სანამ ხელოსნებს არ აჩვენებენ, რომ აი, ოსტატს ვამუშავებთო; გადის ორი-სამი თვე და ოსტატს ითხოვენ, რადგანაც კარგის ჯამაგირის მიცემა ეძნელებათო; ამიტომ კარგი იქნება ხელოსანთა გამგეობამ ამისთანა ამბავს ყურადღება მიაქციოს და რაიმე ღონისძიება მიიღოსო; ქალაქის ხელოსანთა მოურავმა გუშინვე გასცა ბრძანება ამისთანა სახელოსნოები დაიკეტოსო.

ისტორიული ცნობა.

2.

ქართველი მთიელები *).

წყალობითა ღვთისათა, ჩვენ, მეფემან გიორგი, ძემან სახელოვანის მეფეთ მეფის დიმიტრისამან, დავადგინეთ სამართალი ესე მას ჟამსა, ოდეს შევედით მთიელ ხალხთა სანახებში, ჩვენის მეფობის უცილობელს საკუთრებაში.

გავედით რა ჩვენის სატახტო ქალაქიდგან, მიევედით ჩვენს ქინენის სასახლეში, იქიდგან ხადა-ცხაოტს, საცა მოვიწვიეთ ურჩნი ხევის ბერნი და ერნი, მოვისმინეთ მათი აჯა, ვცანით მათი საქმე და მივედით დარიალის... დაბრუნებისას თაყვანის ვეცით ლომისის გი-

ფელეტონი

სამთა კავშირი.

ვინც სიმართლესა ღალატობს,
იგი თავისი მტერია.

გავბედე, გამოვსთქვი ის, რაც ეხლანდელ დროში ბევრის აზრით მამაკვდინებელ ცოდვად ჩაითვლება. მწიგნობარნი, მღვდელთ უხუცესნი რაღაც საიდუმლოებით და ზიზღით ერთმანეთს მოუთხრობენ, ტფილისელმა საშინელი აზრი გამოსთქვაო: გლეხ კაცობა წარსულში არ წარმოადგენდა კულტურულ ძალასაო, არ იყო გამსჭვალული საერთო ეროვნული გრძნობითაო და დღესაც სამშობლოსადმი სიყვარულით არ უღვივის გულიო; ამ დიდებულის გრძნობით გლეხ-კაცობა არ არის გამხნევებული და აღფრთოვანებულიო! ამასთანავე თავად-აზნაურობის და სამღვდელოების უმრავლესობა-კი წარსულში იყო გამსჭვალული მამული-შვილურის, პატრიოტულის გრძნობითაო, მას სწამდა მხოლოდ ერთად-ერთი ქართული კულტურა, სარწმუნოება, ენა, უარჰყოფდა ადგილობრივ ენას, ანუ კილოს და მხოლოდ საერო ლიტერატურას ეტრფოდა, შეჰხაროდა და ემსახურებოდაო!

დიაღ, გავბედე და გამოვსთქვი ყველა ეს მაშინ, როდესაც ვითომ პატრიოტები ორმოცის წლის განმავლობაში ერთმანეთს ჩასჩურჩულებენ და თავად-აზნაურობას აბრალებენ, რომ ეს წოდება არის დამღუპველი ჩვენის ერისა, და დღესაც თავად-აზნაურობის ბრალიაო, რომ ჩვენი გლეხ-კაცობა ღარიბია, ღატაკი, გაუნათლებელი და დაბეჩავებულიო, რომ ყველაფერში ქართველობა დაქვეითებულია და მეზობელ ხალხს უკან ჩამორჩაო. ერთი სიტყვით, თავად-აზნაურობა იყო მათ თვალში დამნაშავე და მხოლოდ ამ წოდებას ასახელებდნენ პასუხის მგებლად.

ჩემის აზრის წინააღმდეგ კვირას, ამა დეკემბრის 1-ს გამოილაშქრა „ცნობის ფურცელმა (№ 2000), „კვალმა" (№ 49) და თვითონ „ივერიამაც" (№ 258) ბანი მისცა ორი წერილით: მეთაურითა და ბ-ნის ბარბალისძისა.

ბ-ნი სიტყვა გაიძახის: ისმინეთ, კეთილ მორწმუნენო, „ბევრი მავნე წერილი იბეჭდება, ბევრი სამწუხარო ამბავი ხდება ჩვენს ცხოვრებაში, მაგრამ ბ. ტფილისელის „თავად-აზნაურობის ვითარება და გავლენა"-მ ყველას გადააჭარბა, ჩვენს მწერლობას ჯერ არ უნახავს ასეთი წერილი, ასეთი ქებათა ქება თავად-აზნაურობისა. ასეთი დაბრმავება დღევანდელის ვითარების უდიადესის მოვლინების წინაშე (!!!..), ასეთი დამცირება გლეხობისა და უარყოფა ყოველის საზოგადოებრივ გრძნობისა და სამსახურის იმ წოდებისა, რომელიც თავის ოფლით, ოფლით-კი არა, სისხლით ასაზრდოებდა მთელს საქართველოს მრავალის საუკუნის განმავლობაში! თვით მეშჩერსკის არასოდეს არ დაუწერია მსგავსი წერილი! თამამად შეუძლიანთ სთქვან ზოგიერთს დღევანდელს მოღვაწეებს: რამდენისამე თვის განმავლობაში ჩვენ მოვიქმედეთ ის, რაც არ გაკეთებულა მთელის ნახევარის საუკუნის განმავლობაშიო! ბ. ტფილისელის წერილი ჭეშმარიტად ისტორიული წერილია; ჩვენის ცხოვრების მკვლევარი არა ერთხელ მოიხსენებს ამ წერილსაო".

„ბოდვაო", დასძენს „კვალი",

ბ-ნმა ტფილისელმა არ იცისო, რომ ხეს ფოთოლი ასხიაო, აგრეთვე დღემდე არ შეუტყვია „ვინ დაბადა ჩვენი ხალხი?—ღმერთმა"! ხმა მაღლა ღაღადებს „ივერიის" მეთაური!..

არიქა, გვიშველეთ,—იძახის ბ. ბარბალეს ძე: ტფილისელი „ხალხს მიწასთან ასწორებს, აბუჩად იგდებს, ამავე ხალხის გასაგონად. კულტურის, ლიტერატურის, ისტორიის აღყვავება თავად-აზნაურობის ძალთა ძალას მიეწერება და არა ხალხსაო"!..

ჩემი წერილი იქით მიაგდეს, იმის შინაარსთან საქმე აღარავის აქვს და მხოლოდ ჩემი, ტფილისელის, განადგურება აქვთ ყველას სახეში, მისევენ ხალხს: არიქა, მდევრად გამოდით, საშინელი აზრის კაცია ტფილისელიო!.. ეს ყოველთვის ასე იყო ჩვენში! დიდი კულტურის და პატრიოტობის ნიშანია მოძმის თუ არ გასრესა, შებღალვა მაინც!..

დიდის რიხით გაიძახიან: „იურიდიული თავისუფლება მშიერ კუჭს ვერ გაგიძღობს", რომ „მუშა მიდის ფაბრიკაში, ქარხანაში, დღიურ ან თვიურ მუშად დგება. იღებს თავის შრომაში იმდენს, რომ ხვალემდე შიმშილით არ მოკვდესო"... (უცნაური ამბავია! ჯერ არ გამიგონია!).. რომ „ძველ რომაელს, ძველ ათინელს თავისუფალი დრო ჰქონდა და ამ დროს გონებრივ ვარჯიშობას ახმარებდა; თავისუფალი დრო ჰქონდა იმის თვის, რომ ნივთიერად უზრუნველ-ყოფილი იყო", რადგან მონას ამუშავებდაო, მოგვითხრობს ბ. ბარბალესძე. აგრეთვე „რომ მაშინდელ მეცნიერთ, ვარსკვლავთ-მრიცხველთ ლუკმა პურისთვის ეზრუნათ, ასტრონომია, ფილოსოფია, ფიზიკა აღარ გვექნებოდაო"... ყველა ეს მართალზედ უმართლესია, მაგრამ ნუ თუ ჰგონია ბ. ბარბალესძეს, რომ მე ამის საწინააღმდეგოდ რამ გამოვსთქვი, ან საჭიროა ეს მასწავლონ... ნეტა რით შეეხება ეს აზრები ჩემს წერილს!..

ვინ არ იცის, რომ ჩვენშიაც გლეხ-კაცობას გუთანი ეჭირა მაშინ, როდესაც თავად-აზნაურს და მღვდელს წიგნი და კალამი. ამით ვითომ რაო?! როგორ თუ რაო! ბრძანებს ბ. ბარბალესძე: „ედისონის ტელეფონის მოგონებაში უბრალო მიწის, ფაბრიკის მუშასაც წილი უდევს"-ო, რადგან „ედისონმა რომ ლუკმა პურის მოპოვებისათვის თოხი და გუთანი აიღოს ხელში და მთელი დღე და ღამ ჩვენებური **ცეციაზავით** იშრომოს, განა ის ედისონი იქნება, რომელიც ახლააო"?

როგორ, ჩვენი გლეხ-კაცი ტეტია არის? მერე, ნუ თუ ასეთი აზრის გამჟღავნება ცოდვად არ მიაჩნია ბ. ბარბალესძეს?! როგორ თუ ტეტია და ედისონი? სადაური სადაო?

გასაოცარი მსჯელობა თუ გნებავთ ეს არის! ბ. ბარბალეს ძემ ამისთანა სოფისტიკას მიმართა და ისეთის კილოთი ბრძანებს ყველა ამას, ვითომ ამით რამ ირღვევაო. ერთი ვიკითხოთ, ნუ თუ ედისონს, როგორც გენიოსს, ძეგლს არ აუგებენ, მხოლოდ იმიტომ, რომ მას გუთანი არ ეჭირა ხელში და ფაბრიკაში მუშათ არ იყო? ნუ თუ მე არ შემიძლიან ვსთქვა, რომ კაცობრიობის წინაშე ედისონს დიდი ღვაწლი მიუძღვის? ნუ თუ თავად-აზნაურობას და სამღვდელოებას ჩვენში დიდი ღვაწლი არ მიუძღვის სამშობლოს წინაშე, მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენშიაც მათ ასაზრდოებდა მუშა ხალხი? წარსულში ჩვენი მუშა ხალხი ისე დაბლა არ იდგა თავად-აზნაურობასთან შედარებით, როგორც სხვა ქვეყნებში. თავადებს და აზნაურებს მტკიცე და ხშირად მეგობრული კავშირიც-კი ჰქონდათ გლეხ-კაცობასთან. თავის ვაჟკაცობით, მეფისა და ქვეყნის ერთგულობით და განათლებით არა ერთი გლეხი კაცი დაჯილდოვებულა აზნაურობის ხარისხით და მღვდელ-მთავრადაც უკურთხებიათ. მერე ამით რაო? რა-კი ასე იყო, ნუ თუ ნება არა მაქვს ვსთქვა, რომ განათლებული მხოლოდ თავად აზნაურობა და სამღვდელოება იყო და მხოლოდ ეს ელემენტი წარმოადგენდა კულტურულ ძალას? აქ ხომ სიტყვის მიკიბ-მოკიბვა არის და არა ჩემი წერილის შინაარსის გარჩევა.

აი, რა არის გამოსარკვევი: მართალია თუ არა ის აზრი, რომ თავი და თავი მიზეზი წარსულის უბედურობისა იყო თავად აზნაურობის უმრავლესობა, ე. ი. განათლებით და მოღვაწეობით უმაღლესი წოდების უმრავლესობა?

აბა დააკვირდით, რა რიცხვი უნდა ყოფილიყო ქართლ-კახეთში ამ ასის წლის წინად, როდესაც ეხლა ქართველნი არ აღემატებიან მთელ გუბერნიაში 600 ათასს სულს ორისავე სქესისას, და გაიხსენეთ ის საგულისხმო და საგმირო საქმენი, რომელიც ჩაუდენია ქართველ ერს თავად-აზნაურობის ბელადობით.

იმ დროს ჩვენი ერი ებრძოდა ძლიერს ოსმალეთს, სპარსეთს, თათრების ხანებს, ლეკებს, ოსებს და ყველას, ვისაც-კი სურდა ჩაენთქა ეს მცირე რიცხვით, მაგრამ სულით ძლიერი ხალხი.—ყველამ გაიხსენოს, ვინ იყო ამ დროს მოთავე, ვინ ბელადობდა ქართველობას ჭირში და ლხინში და ვგონებ, აღარავის გააკვირვებს ეხლანდელი დევეტი, ბოტადელარეი და სხვა ბელადნი ბურთა რაზმებისა, რომელნიც თავ-განწირულებით ებრძოდნენ ძლიერს ინგლისს.

განა შესაძლოა ჩვენმა სამშობლო-ქვეყანამ დაივიწყოს წარსული დიადი ღვაწლი და საგმირო, საზღაპრო საქმენი თავად-აზნაურობისა? განათლებულ ქვეყნებში ყველა დედა თავისს შვილს მოუთხრობს საგმირო საქციელს, რათა ნორჩს გულში ღრმად ჩაუნერგოს სამშობლოს სიყვარული და ამით ააფრთოვანოს, აამაღლოს მისი სული.

ყველგან პატივსა სცემენ გმირთა და დიდებულ მამული-შვილთა ნათესავთ და ჩამომავლობას, თითქმის სათაყვანოდ გაიხდიან ხოლმე გმირთა სამშობლო სოფელს, სახლს, სადაც იგი დაიბადა და აღიზარდა. დიდი ხანი არ არის, რაც მთელმა რუსეთმა თავი გაიმხნევა და აიმაღლა სუვოროვის და გოგოლის დიდებულის ცხოვრების და ღვაწლის მოგონებით და ამით ამ გმირთა წინაშე ვალი მოიხადა და მათ ნათესავთა პატივი სცა. გაზეთები დაწვრილებით და დიდის პატივით იგონებდნენ და იხსენიებდნენ ყველა ნათესავთა და მეგობართა ვინაობას და ცხოვრებას. ჩვენში-კი ბევრთაგანს აუღია ხელში ტალახი და უსაგნოდ, უალაგოდ ესვრის განურჩევლად ყველა გამვლელ-გამომვლელს და გაიძახის, რომ ყვე-

---

*) გიორგი ბრწყინვალის წერილი.

**) „მწერლობა მეათე საუკუნემდე"-ში მოყვანილია მთელი სწავლა, რომ სარგებლით ფულის გაცემა ცოდვააო.

ორაგის, განვმართეთ ცხრაზმის ხეობის საქმენი და მივედით მუხრანს ჩვენს საზამთრო სასახლეში და იქიდგან სატახტო ქალაქს (ტფილისს) სხვა-და-სხვა სოფელთა უფროსებით, ხეობათა თავკაცებით, მამასახლისებით და ჰეროვნებით. შემდეგ მოვიწვიეთ მისი მეუფება საქართველოს კათალიკოსი ეფთვიმე, მეფის ბჭენი, ეპისკოპოსნი და ქვეყანათა მმართველნი და გამოვიძიეთ და ვცანით, რომ მრავალი უწესოება ხდებოდა ქვეშევრდომთა ჩვენთა შორის: ერთი-ერთმანეთზე მიხტომ-მოხტომა, ციხეთა აკლება, კვლა, სხვათა ცოლთა ტაცება ანუ საკუთარ ცოლთა განტევება უმიზეზოდ და სხვა შეუფერებლობანი, ასე რომ სამართალი აღარ იყო. მიზეზისა ამის გამო დავადგინეთ ესე...

ამას მიჰყვება 46 მუხლი გიორგი ბრწყინვალის კანონებისა. მე-19 მუხლი შეეხება ლაშქრობის წესებს. თუ რომელიმე ხეობა ანუ სოფელი მოწოდებისამებრ ერისთავისა ანუ მმართველისა არ გამოვა სალაშქროდ, მისი მამული ერთის წლით სახაზინოდ ჩაირიცხება და ყოველს მეკომურს გამოერთმის თითო ხარი. გარნა წლის დასასრულს უკანვე დაუბრუნდებათ ყოველივე, რაც ჩამოერთოთ. ეს დადგენილება შეეხება ჰაეროვანთა და გლეხთ. თუ ხევის ბერი არ გამოვიდა სალაშქროდ, აღეხადოს ღირსება და ჩამოერთოს მამული. თუ დამსახურებული კაცია და სხვა დანაშაული არ ჩაუდენია, წლის დასასრულს დაუბრუნდეს მამული.

მუხლი 46: საქართველოს და სხვათა კანონებით ფულის **სარგებლით** გაცემა აღკრძალულია*). გარნა თუ ვინმე ვერცხლმოყვარეა და სარგებლის აღებას ინდომებს, მიეცეს მას ათს თეთრზედ არა უმეტეს ორისა, **რავდენი** ხანიც უნდა იყოს გავალებული ფული.

ამ მთიელთაგან დიდოთა და ფხოველთ იწყეს ღელვა თამარ მეფის დროს, გარნა დამორჩილებულ იქმნენ. ასე:

.. დიდონი მშთვარსა და უხარშავსა სჭამენ და მრავალნი ძმანი ერთსა დედაკაცსა მოიყვანებენ ცოლად და რომელნიმე უჩინარს რასმე ეშმაკს თაყვანის სცემენ და ზოგნი ეუნიშნოსა შავსა ძაღლსა. ხოლო ფხოველნი ჯვარის მსახურნი არიან და ქრისტიანობასა იჩემებენ. ამათ იწყეს რბევად, ხოცად და ტყვეობად, ცხადად და ღამით. მაშინ მოუწოდი თამარ მეფემან ყოველთა მთეულთა,—დვალთა, ცხრაზმელთა, ხეველთა, ხადელთა, ცხავატელთა, ჰართალთა და ერწო-თიანელთა, მისცა ივანე ათაბაგსა და წარავლინა მათ ზედა...

წავიდნენ, ავიდნენ დიდოს, დაჰყვეს იქ სამი თვე—ივანისი, ივლისი და აგვისტო, დაიმორჩილეს, გამართეს მძევლები და დაბრუნდნენ. გამდგართ აღუთქვეს მსახურება, ხარაჯა და მოსცეს პირი სიმტკიცისა...

აი, აქ მოხსენებულს მთიელებს მისცა სამართალი გიორგი ბრწყინვალმა.

შემდეგ, მთიულები და ხევსურები ეპყრათ არაგვის ერისთავებს, ცხრაზმელები და მათი მეზობლი მთიელები ქსნის ერისთავებს; ერეკლე მეორის დროს ფშავ-ხევსურთ განაგებდა მეფის მოხელე და „ფრიად ერთგულ იყვნენ თვისთა მეპატრონეთა“. კახეთის მხრის დიდონი, ამბობს ვახუშტი: „ჰყმობენ კახთა მეპატრონეთა და აძლევენ ხარკთა“, თუშნიც „მორჩილებენ კახთა და არიან სარწმუნოებითა და ენითა ქართულითა და მწყსის მათ, ხარჭაშნელის წილ, ალავერდელი“.

საზოგადოდ, ამ მთიელებივით ერთგული საქართველოისა და მის ტახტისა არც ერთი თემი არ იყო ჩვენში. თვით დამოუკიდებელ სამეფოს უკანასკნელს წუთებშიაც ეს მთიელები აფრიალებდნენ თავისუფლების დროშას და, დედოფლების რუსეთში გადასახლების ამბავი რომ მიუვიდათ, ჩამოგზავნეს ვაჟკაცი ბელადები მათ გასატაცებლად ტფილისიდამ.

ბერი.

რუსეთი

2 დეკემბერს სამხედრო საექიმო აკადემიაში მოხდება გამოცდა ექიმის ხარისხის მისაღებად. გამოცდის მსურველი 146, მათ შორის სამხედრო ექიმი—68, სამოქალაქო—78.

(Р. В).

— საერო განათლების სამინისტროს განზრახვა აქვს ნება-რთვა მიეცეს კერძო კაცთ საოსტატო სემინარიების დაარსებისა, რომლებიც მოამზადებენ მასწავლებლებს პირველ დაწყებითი სკოლებისათვის.

— ცენტრალურ დაწესებულებათა ახალს შტატებს გზათა სამინისტრო 1905 წლიდგან დააარსებს.

— გამოქვეყნებულია, რომ ჟანდარმთა კორპუსის რიცხვს მოემატოს და მათი ჯამაგირი გადიდებულ იქმნას.

— ოდესის ოლქის ერთ სახალხო სკოლათა დირექტორს დაუწყია შუამდგომლობა, საცა ჯერ არს, რომ ქალაქის საბჭოში, საგუბერნიო და სამაზრო საერობო კრებაზედ ხმა ჰქონდეთ სამოსწავლო დაწესებულებათა წარმომადგენელთაო.

— განზრახვა აქვთ, სოფლის მსაჯულთა უფლება გააფართოვონ, რომ მსაჯულს ნება ჰქონდეს გაარჩიოს ის საჩივარი, რომელიც 500 მანეთის სალირალს არ აღემატება-

— ციმბირის სიონისტებს შუამდგომლობა აღუძრავთ, რომ ტომსკში ნება დართულ იქმნას სიონისტების კრება.

უცხოეთი

ავსტრია-უნგრეთი. რადგან გერმანიაში ახალ საბაჟო ტარიფის გადასაწყვეტად ყოველ ღონისძიებას ხმარობენ, რომ ამ ახლო მომავალში როგორმე განახორციელონ იგი, ავსტრია-უნგრეთის მთავრობა სცდილობს გამოარკვიოს ის მდგომარეობა, რომელშიაც იგი ჩავარდება ზემოხსენებულ ცვლილების გამო.

ამ დღეებში მინისტრ-პრეზიდენტ სელლის შეეკითხა პალატაში დეპუტატი ფრანც კოშუტი,—რადგან მოსალოდნელია სრულიად მოისპოს გერმანიასთან დადებული სავაჭრო ხელ-შეკრულობა, როგორ გზას უნდა დაადგეს ჩვენი მთავრობაო; ამის პასუხად მინისტრ-პრეზიდენტმა შემდეგი განაცხადა:

მეტად ძნელია ასე უცბად გამორკვევა იმ საკითხისა, რომელიც დიდს სიფრთხილესა და წინდახედულობას მოითხოვს. ძნელია იმიტომ, რომ ჯერ დანამდვილებით არა ვიცით-რა და არც შეიძლება წინდაწინვე ცოდნა იმისა, რაც მომავალში უნდა მოხდეს. რადგან გერმანია დიდი ცვლილების მოხდენას აპირობს, და შესაძლოა სრულიად შესწყდეს ჩვენი სავაჭრო ურთიერთობა, სწორედ აუცილებელ საჭიროებად მიმაჩნია დროით გამოირკვეს უნგრეთისა და ავსტრიის საეკონომიო ურთიერთობა. ვსცდილობ, ამ ახლო მომავალში წარვუდგინო პარლამენტს ეს საქმე განსახილველად და შევეცდები საჭირო იარაღად ხელთ ვიქონიო თავის დასაცავად. ვისწრაფი, რომ ჩვენი ავტონომიური ტარიფი მალე იქმნას მიღებული და დაკანონებული, რათა შემდეგ საერთაშორისო მოლაპარაკებასაც შევუდგეთ. ჯერ-ჯერობით მე არ შევუდგები გერმანიის ახალ საბაჟო ტარიფის განხილვას, მაგრამ დეპუტატთა დასამშვიდებლად ვაცხადებ, რომ ჩვენი საბაჟო ტარიფი მეტად მკვიდრ საფუძველზეა დამყარებული და, როგორც გერმანიის, ისე სხვა სახელმწიფოების საწინააღმდეგოთ, მუდამ ჟამს მზადა გვაქვს და ღონეც შეგვწევსო“.

საგულისხმოა, რომ გერმანიის იმპერატორმა ამას წინად განსაკუთრებულ ყურადღების ღირსად გაჰხადა ავსტრია-უნგრეთის გარეშე საქმეთა მინისტრი გრაფ გოლუხოვსკი,—გაუგზავნა საუცხოვო ჩარჩოში ჩასმული თავისი სურათი და მისწერა უსტარი, რომელშიაც დიდად შეაქო გრაფი სამთა კავშირის განახლებისათვის. მხოლოდ საქმე ისაა, რომ გრაფ გოლუხოვსკის ახლა ბევრი არა შეუძლია-რა უნგრეთის ნება-დაურთველად; მაგრამ უნგრეთი ისე არა სწყალობს გერმანიის გულის მოგებას, როგორც ავსტრია. მაშასადამე, უპრიანი იქნებოდა გერმანიის მთავრობას უნგრეთის მინისტრ-პრეზიდენტ სელლის გული მოეგო და არა გრაფ გოლუხოვსკისა, მაგრამ ეს მოუხერხებლად აღმოაჩნდა, რადგან ამას წინად სელლიმ საქვეყნოდ გაჰკიცხა გერმანელნი, რომელნიც დიდად მოწინააღმდეგენი არიან უნგრეთშიაც ისეთივე გავლენა მოიპოვონ, როგორც ავსტრიაში.

გერმანია. გერმანიაში ერთი ახალი დასი შესდგა, რომელსაც საიმპერატორო დასი ეწოდება. მაინის ფრანკფურტიდგან 8 დეკემბრის თარიღით ატყობინებენ ბერლინის ოფიციალურ გაზეთ „Port“-ს.

საქსონიის მდივნის ბარონ ფონ-ეკკარდშტეინის მეთაურობით დეკემბრის 15-ს „Hotel Imperial“-ში მოხდება კრება წარჩინებულ მოხელეთა და გავლენიან მოღვაწეთა ჰესსენნასსაუსა, დიდ საჰერცოგო ჰესსენისა, ვიურტემბერგისა, ბადენისა და პრუსიის პროვინციებისათ; ამ კრებაზედ უნდა დაარსდეს და მოეწყოს ახალი საპოლიტიკო დასი, რომელსაც სახელად ეწოდება საიმპერატორო.

ეს ახალი დასი სრულიად დამოუკიდებლად გამოვა საპოლიტიკო ასპარეზზე სამოღვაწეოდ; ეყოლება თავისი კანდიდატები რეიხსტაგისა და ლანდტაგების არჩევნებზე, მიიმხრობს ყველას, განც კი წინააღმდეგი იქმნება ერთის მხრით უკიდურეს მემამულეთა და მეორეს მხრით სოციალ-დემოკრატთა, მხარს მისცემს იმპერატორის პოლიტიკას განსაკუთრებით საბაჟო, არხებისა, მხედრობისა და ნავოსნობის საქმეებშიო.

სწორედ ეხლაა საჭირო ასეთი საშუალო დასი, რადგან დამფუძნებელთა აზრით, ყოველის მხრით უკმაყოფილობა ისმის ძველ დასთა მიმართო.

ბარონ ფონ-ეკკარდშტეინი რეიხსტაგის კანდიდატათ იქმნება დასახელებული ჰესსენისა, ან ჰესსენ-ნასსაუს ოლქში მომავალ არჩევნებზეო.

მოსალოდნელია, რომ საიმპერატორო დასი გერმანიის ყველა ოლქში თავის კანდიდატებს დაასახელებს.

საფიქრებელია აგრეთვე, რომ ზემოხსენებული დასი იმავ მიმართულებისა იქმნება, როგორისაც დოქტორ ლანგეს მიერ ბერლინში დაარსებული ნაციონალური ლიგა საიმპერიო არჩევნებისათ.

ბულგარია. მაკედონელ მეამბოხეთა წინამძღოლი გენერალი ცონჩევი, რომელიც ამას წინად მძიმედ იქმნა დაჭრილი, სამართალში მისცეს საცხოვრებლად დანიშნულ ადგილიდგან ნება-დაურთველად წასვლის გამო. საქმის გარჩევა დეკემბრის 14-სათვისაა დანიშნული ღრნოვოში. გენ. ცონჩევის ბინას დიდის სიფრთხილით დარაჯობს პოლიცია, თუმცა იგი ჯერ იმდენად სუსტად ჰგრძნობს თავს, რომ ლოგინიდგან წამოდგომასაც ვერ ახერხებს.

ოსმალეთი. ალბანელთა ცნობილი ბელადი ისსა ბოლეტინაცი, რომელიც დიდი წინააღმდეგი იყო რუსეთის კონსულის მიტროვიცაში დაბინავებისა, და კინაღამ აჯანყება არ მოახდინა,—ამ დღეებში თვითონ მივიდა სტამბოლს, სადაც იგი ოსმალებმა აქამდე ვერც დაპირებითა და ვერც მუქარით ვერ მიიტყუეს. ბოლეტინაცის სტამბოლს მისვლა, ალბად, იმას უნდა მოასწავებდეს, რომ რუსეთის კონსულის მიტროვიცაში დაბინავების საქმე მალე გადასწყდებაო.

სხვა-და-სხვა წერილები

იმერული თუ ქართული ენა?

გაზ. „ივერიაში“ (№ 241) მოკლედ აღნიშნულიყო შინაარსი მეოთხე წიგნისა, რომელიც ამ წელს გამოსცა რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიურმა განყოფილებამ. ერთის საბიბლიოგრაფიო წერილის გამო, რომელიც იმავე წიგნშია მოქცეული, ორიოდე სიტყვა უნდა მოგახსენოთ. მე მაქვს სახეში წიგნი „Первая всеобщая перепись населенія россійской имперіи 1897 г... Черноморская губернія. СПБ. 1901. საყურადღებო ამ წიგნში ერთი გარემოებაა. ჩამოსთვლიან-რა სხვა-და-სხვა ენებს, რომელსაცა ლაპარაკობენ ჩერნომორსკის გუბერნიაში, სხვათა შორის დასახელებულნი არიან 917 ქართულად მოსაუბრენი. ვსთქვათ, ეს რიცხვი უეჭვო ჭეშმარიტია, მაგრამ ორი-სამი სტრიქონის შემდეგ მეხვდებით ასეთს დამატებას: „რიცხვი იმათი, რომელნიც სთვლიან დედაენად სხვა ენებს, სრულიად ცნაკლები აღმოჩნდა (მათ რიცხვში მეგრული 305, ადერბეიჯანული 289, **იმერული**—158)“.

განსაცვიფრებელი ამბავია! აქამდის იმ წყალობას მაინც არ გვაკლებდნენ, რომ მხოლოდ მეგრულს და სვანურს სთვლიდნენ სხვა ენად ქართულთან შედარებით, მაგრამ, თუ იმერული ენაც არსებობდა გარეშე ქართულისა, ამ ჟამამდის სწორედ არსად გაგვიგონია. საინტერესოა ვიცოდეთ, რა განსხვავებაა იმ 917 პირთა შორის, რომელნიც ქართულად უბნობენ და 158 პირთა შორის, რომელნიც ჩვენთვის უცნობი **იმერული ენით** ლაპარაკობენ? თუ მთქმელს შესცდა და ქართულს ენას უწოდა იმერული მხოლოდ იმიტომ, რომ ლიხს იქით დაბადებულია, განა ეს შეცდომა არ უნდა გაესწორებინა ცნობების ჩამწერს და ავეღებინა სტატისტიკურ კომიტეტისთვის ცრუ ანგარიშის შედგენა? სამწუხაროა ასეთი გაუგებრობა იმერთათვისაც, რომელთაც აქამდის ვერ შეუგნიათ, რომ ქართული ენა ქართლის ენას არ ნიშნავს და იგი შეადგენს დედა ენას მთელის საქართველოს ერისას. სასირცხვოა ასეთი შეცდომა.

ალ. ხახანაშვილი.

თეატრი და ხელოვნება

ქართული თეატრი

„ავადმყოფნი“ გ. ჰაუპტმანისა და „დედის ნებიერი“ კომ.-ფარსი 3 მოქმ., ნათარგმნი დ. აწყურელის მიერ.

ვისთვისაც-კი ჩვენი თეატრის ბედ-იღბალი ფუჭი სიტყვა არ არის, არამედ წმიდა ავგაროზია,—იმისთვის ხუთშაბათის წარმოდგენა მეტად საგულისხმიერო-რამ უნდა ყოფილიყო. ამ გულხმიერების მიზეზი-კი ახალგაზდა მსახიობი ბ-ნი ქორიძე გახლდათ (მომღერალ ქორიძის შვილი) რომელიც გუშინ-წინ ტფილისის საზოგადოების წინაშე პირველად გამოვიდა სცენაზედ. ამას წინად ჩვენმა გაზეთებმა ქებით აღნიშნეს ამ ყმაწვილი კაცის პირველი ნაბიჯი ხელოვნების ასპარეზზედ და ამიტომ თითოეული მაყურებელი დაძაგრულის ძარღვებით და გულის ფანცქალით მოელო და მისს გამოსვლას, შიშით აღძრული, ვაი თუ იმედი არ გაგვიმართლდესო. ეს გულგატეხილობა საზოგადოებისა, რაღა თქმა უნდა, დაფუძნებულია იმედის გაცრუების მრავალ მაგალითზედ. ჩვენი გაყამირებული ცხოვრება, როგორაც სხვა გვარ კულტურულ გამომეტყველებაში, აგრეთვე თეატრის საქმეშიაც მეტად უნაყოფოა. ვინც-კი ამ ბოლოს წლებში გამოვიდა სცენაზედ,—თითქმის ყველამ თავზედ ცივი წყალი გადაგვასხა და თეატრს არამც თუ არა შესძინა-რა, არამედ მეტ-ბარგად გაუხდა.

მაგრამ, ღვთის წყალობით, ბ-ნ ქორიძეზედ ეს არ ითქმის. ბ-ნმა ქორიძემ... მაგრამ ისევ ის სჯობია თანდათანობით გადმოგცეთ ის გრძნობა, რომელიც აღმიძრა ამ მსახიობმა:

ვილჰელმი (ბ-ნი ქორიძე) და იდა (ქ-ნი ლეჟავა) სცენაზედ ერთად შემოდიან იმ სახლში, რომლიდამაც, ეს ექვსი წელიწადია, რაც ვილჰელმი სხვაგან გადიხვეწა, რადგანაც თავისს მამას ხელი შეახო.

სცენაზედ გამოჩნდა ყმაწვილი კაცი, ესე 23—25 წლისა (უფრო ახალგაზდა) შუათანა ტანისა, თხელ-თხელი, რომლის თავის მოყვანილობა გამცნობდათ, რომ იგი კულტურულ რასას ეკუთვნის; შუბლ განიერი, ცხვირ-მომსხო და გრძნობა მეტყველ თვალებიანი, რომლებშიაც ამ ჟამად რაღაც სევდა იყო ჩატბორებული. აი, დაილაპარაკა ამ ყმაწვილმა და ყურს შემოესმა წყნარი, გულიდამ ამოხეთქილი ხმა ბარიტონის ტემბრისა. გრძნობა-ნარევი იყო ეს ხმა და სიამით ეხებოდა ჩემს სმენას, სიტყვა სიტყვას მოსდევდა მკაფიოდ და სხარტად გამომეტყველი. მოძრაობა სხეულისა (ჟესტიკულაცია) ზომიერი,—თითქმის უჩინარი,—თუ არას ჰმატებდა მსახიობს, არაფერს აკლებდა. სახის გამომეტყველება ჯერ-ჯერობით მწუხარე და სევდიანი ჰქონდა... მაგრამ აი, შეატყობინეს, მამაშენი აქ არისო და მსახიობი შეკრთა, სახეზედ შიშის ლანდმა გადაურბინა, თვალები გაუგანიერდა და სიტყვა „მამა“ სასოწარკვეთილ კვნესათ შეაშრა ტუჩებზედ... იგი გაქანდება „პალტოსაკენ“, აქ დარჩენა არ შეუძლიან... არ უშვებენ... იგი ღელავს, თითქოს თავბრუ ესხმის... წამ და უწუმ შუბლზედ იტაცებს ხელს... სიტყვებს როგორღაც ნაწყვეტ-ნაწყვეტად ისვრის, მაგრამ ერთმანეთზედ მიყრით... როგორც არის ამშვიდებენ.

დადგება წამი, როდესაც ვილჰელმმა უნდა უამბოს თავისს საცოლე—იდას საშინელი ამბავი მამის გალახვისა. მღელვარება კვლავ აეშლება... თვალები ვერ გაუშტერებია საყვარელ არსებისათვის, ხელებით-კი სავარძლის საფარებელს წიწკნის, თითქოს ამ მოქმედებას უწილადებს თავისს ყურადღებას და ამით კი ანახევრებს სიმწვავეს საშინელ ამბავის გახსენებისას... უკანასკნელი სიტყვები ლაპარაკი როდია,—არამედ ტანჯულ ადამიანის კვნესაა, ქვითინი...

როცა მამას შეხვდება—მსახიობი ცდილობს სადმე კუთხეში მიიკუნჭოს, სავარძლიდგან სტოლთან გადადის, სტოლიდგან ოთახის კუთხეში, ხელები უკან კალებს, სახის მუსკულები უთრთის, თვალებში შიში აქვს ჩასახული... მაგრამ როდემდის გაგრძელდება ასეთი სულიერი ყოფა?.. ხომ უნდა შეხვდეს როდისმე მამას!.. და მსახიობი იმავე გზით, გაუბედავად, ტორტმანით გადასდგამს რამდენსამე ნაბიჯს, მაგრამ ამ დროს სულით-ხორცამდე მოეშვება, დაეცემა მუხლებზედ მამის წინაში და ისტერიულ ტირილ-ხარხარს მოჰყვება... ბოლოს გული უწუხდება.

მსახიობის დანარჩენს თამაშობაზედ აღარას ვიტყვით, რადგანაც ჩვენ აღვნიშნეთ უძლიერესი მომენტები ამ თამაშობისა, მხოლოდ დავსძენთ, რომ ყოველივე ეს მსახიობის მიერ გაპიროვნებული იყო ბუნებრივად, ძალა დაუტანებლად და სადა საშუალებათა ხმარებით.

ერთი სიტყვით, ბ ნი ქორიძე მსახიობია,—მსახიობია თავით-ფეხამდე—და მას საუკეთესო მერმისი მოელის ჩვენს სცენაზედ. მართალია, იგი როდი იქმნება გამაპიროვნებელი ხმალხანჯლოვან გმირებისა და კლასიკურ ტრაგედიების მომქმედთა, რადგანაც მის მიერ გამოხატული ტრაგიკული პაფოსი დიდ ძლიერებამდე ვერ მიაღწევს, ამასთანავე გარეგნობა და ხმა ნებას არ მისცემს,—მაგრამ, სამაგიეროდ, ამ დროინდელ პიესებისათვის იგი ყოვლად შესაფერი და ზედ გამოჭრილია. ნერვებ-აშლილი, სულიერად შერყეული ამ დროინდელი ინტელიგენტი—გმირი ჰპოვებს ბ-ნ ქორიძეს ნიჭში სრულს განხორციელებას ჲ ჩვენს სცენასაც სწორედ ეს ეპირვება.

ახალგაზდა მსახიობს ნაკლულევანებად უნდა ჩაეთვალოს: ქართულ გამოთქმის კილო, (დიქცია შესანიშნავი აქვს), ცოტა არ იყოს გურულ-იტალიური; გაუბედაობა სხეულის მოძრაობისა, რომელსაც პლასტიკა არ ეტყობა; მაგალითად მსახიობი ხელებსა ჰშლის როგორღაც გაუბედავად, ნახევრად, თითქოს ძარღვებ ი შეკუნთული ჰქონდეს... მაგრამ ყველა ეს წარმავალია.

სანუგეშო კიდევ ის არის, რომ ბ. ქორიძე კარად განათლებული ყმაწვილი კაცი ყოფილა, ამის გამო თავის თავს თითონ გაუწევს ხელმძღვანელობას... თორემ ჩვენი სცენის ხელმძღვანელთ თუ მიაპყრო ყური... თქვენი მტერი...

ვერც ბ-ნ კოტე მესხმა (რობერტი) და ვერც გუნია (შოლცი—მამა) ვერ დაგვაკმაყოფილესორივეს თამაშობას რაღაც ნაძალადევი იერი სდევდა.

ქალები ძალიან მოისუსტებდნენ, განსაკუთრებით ქ ნი გამყრელიძისა მინას როლში.

„ავადმყოფების“ შემდეგ წარმოადგინეს რაღაც უხამსი და საზიზღარი ფარსი „დედის ნებიერი“, რომლის გადმოთარგმნა ბ-ნ აწყურელს და დადგმა-კი ბ-ნ რეჟისორს არ ეპატიებათ. ნურც ერთი და ნურც მეორე საზოგადოების დაუსრულებელს სიცილს იმის თავდებათ ნუ ჩასთვლის, რომ ეს ფარსი წარმოდგენის ღირსი იყო... ბ-ნ აბაშიძის ნიჭიერი თამაშობა ვის არ გაამხიარულებს?!

წარმოდგენას საზოგადოება საკმაოდ დაესწრო.

—

დღეს ქართულ თეატრში დანიშნულია იაფფასიანი წარმოდგენა; წარმოდგენილი იქნება ოთხ მოქმედებიანი კომედია „ციმბირელი“ ა. ცაგარლისა და ვოდევილი „მოტია“, წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

—

ხუთშაბათს, 5 დეკემბერს, ქართულ წარმოდგენების სახალხო სექციამ რკინის გზის სახელოსნოების თეატრში წარმოადგინა აზაანის „ფული

ლა ასე უნდა ექცეოდეს იმ წოდებას, რომელმაც ასეთის თავგანწირულებით დაიცვა საქართველო გარეშე მტრისაგან, შეგვინახა წმინდა ჯვარი, დედა-ენა და ქართული კულტურა.

ვის შეუძლიან დაივიწყოს დიდი ღვაწლი სამშობლოს წინაშე წმინდათა ელიზბარ და შალვა ქსნის ერისთავთა, ბიძინა ჩოლოყაშვილისა, დავითის და კონსტანტინესი, ნიკოლოზ რუსთველისა (ჩერქეზიშვილისა) და ბევრ სხვათა წამებულთა.

უწინ არა ერთი თავადი ანუ აზნაური იყო კათალიკოსად, მღვდელ-მთავრად და სხვა სასულიერო წოდების მოღვაწედ, რომელთაც განამტკიცეს და გააძლიერეს სარწმუნოება სიტყვით, საქმით და ლიტერატურულის შრომით; ვინ იყვნენ სიტყვიერების მეფენი და პატრიოსანნი მოღვაწენი: საბა სულხან ორბელიანი, დავით გურამიშვილი, ბესიკი, დავით რექტორი, ჰაბუა ორბელიანი, სოლომონ ლეონიძე და სხვა წარჩინებულნი მოღვაწენი? განა შესაძლოა სადმე სათაყვანოდ არ მიაჩნდეს სამშობლოს და დაივიწყოს გმირნი ცხრა ძმანი ამილახორნი, რომელთაც ციხე-დიდის ომში თავი შესწირეს სამშობლოს, ანუ კიდევ ცხრა ძმანი ხერხეულიძენი, რომელთაც თავი ისახელეს მარაბდის ომში და ერთად, როგორც ამილახორნი, დაიხოცნენ ძმურად და გმირულად, ანუ ღვაწლი და გმირული სიკვდილი აზნაურის იოთამ ზედგინიძისა, რომელმაც თავი შესწირა სამშობლოს და მეფეს.

განა გმირები არ იყვნენ ყველა ის მამულის შვილნი, რომელთა საგმირო საქმენი ჩინებულის სიტყვებით დასურათა ჩვენმა გამოჩენილმა მგოსანმა გრიგოლ ორბელიანმა თავის თხზულებაში „სადღეგრძელო“, ოთხნი ზაალნი: ორბელიანი, ბარათაშვილი, ანდრონიკაშვილი და მაჩაბელი, რომელთა საგმირო საქმენი დასურათებულია მეფე ირაკლის სიტყვებით: „თითო ზაალ ღირს თითო ჯარადაო“, ან კიდევ სოლომონ და ოთარ ქობულაშვილნი, დავით ბარათაშვილი, დავით სარდალი—ორბელიანი, ზაქარია ანდრონიკაშვილი და სხვანი?! გადიკითხეთ უტყუარი ფაქტები, რომელსაც მოგვითხრობს მ. პ. კარბელაშვილი თავის თხზულებაში „ერეკლე მეფე და მისი წერილები“ და ყველანი გაიოცებთ, ერეკლე მეფის თანამედროვე თავადაზნაურნი რა თავგანწირულებით ხელს უწყობდნენ დიდებულს მეფეს, რომელმაც მტარვალთა ხელიდან იხსნა აოხრებული სამშობლო. განა სპარსელების მორჩილობა ბევრს თავადს ანუ აზნაურს არ უქადდა ამიერ ბედნიერებას და ფუფუნებას, მაგრამ მათ ეს უარჰყვეს და თავის სიცოცხლე სამშობლოს შესწირეს. რომელი გვარია თავადისა ანუ აზნაურისა ჩვენში, რომელსაც ათობით და ოცობით თავისი შვილნი არ შეეწიროს სამშობლოსათვის. ყოველი ნაბიჯი ჩვენის ქვეყნისა მორწყულია ამ წამებულთა სისხლით და განა ეს თავგანწირულნი მამულისშვილნი ღირსნი არ არიან, რომ მათ სახელს პატივს ასცემდნენ ჲ მათის საგმირო საქციელით ამაყობდნენ. ყველგან ასე მოიქცეოდნენ და ჩვენ-კი... სჯობია, აქ სიტყვა გავწყვიტოთ, რადგან ყველამ იცის რასაც ჩავდივართ!..

ახალ მცნების მოძღვარნი, მოტრფიალენი უცხოელთა ცხოვრებისა, დატვირთულნი საუცხოეთო აზრებით და დოქტრინებით, იმას აიძახიან, ეს სულ მართალიაო, მაგრამ წარსულიაო, კრილოვის იგავ-არაკისა არ იყოს, „ბატებმა“ რომის ქალაქი ოდესღაც იხსნეს განსაცდელისაგანაო და ჩვენ დროს ბატებს პატივს ვიღა სცემსო!

დავაკვირდეთ აწმყო ცხოვრებასაც, გავარკვიოთ ყოველი საქმენი და ვნახავთ, რაოდენად მართალნი ბრძანდებიან ახალ მცნების განმავრცელებელნი, ახალ დროის პატრიოტები, როდესაც გვარწმუნებენ, რომ თავადაზნაურთა ჩამომავლობა არაფრად ჩასაგდებია, ქვეყნისთვის მეტი ბარგია და ყველამ ამ წოდებას ზურგი უნდა უბრუნოსო.

მ. ტფილისელი.

(დასასრული იქნება)

და ხარისხი". „წარმოდგენის შემდეგ კონცერტი გაიმართა.

—

დღეს, დილის 11 საათზე, ავლაბრის სცენის მოყვარულთაგან მურაშკოს თეატრში წარმოდგენილი იქნება „არსენა", დრამა 3 მოქ. ალ. ყაზბეგისა და „ბაზაზი შკაფში", ვოდ. 1 მოქ. ა. ცაგარლისა.

—

თელავი. პირველს ქრისტეშობისთვეს თელავის საკრებულო დარბაზში გარდაცვალებულის დრამატურგის ავქ. ცაგარლის ხსოვნის პატივსაცემლად სცენის მოყვარეთ წარმოადგინეს მისი კომედია „ცისარტყელა", რომლის შემდეგ გამართეს აპოთეოზი და წარმოადგინეს, „не зная броду, не суйся въ воду" და მერე იყო ცეკვა.

წარმოდგენა იყო გამართული თელავის საზოგადო სამკითხველოს სასარგებლოდ, განაგებდა კნ. სოფიო იოსების ასული ჯანდიერისა. წარმოდგენას ხალხი ბლომად დაესწრო. წარმოდგენამ კარგად ჩაიარა, იმის მიუხედავად, რომ ზოგი მსახიობი სცენაზედ პირველად იყო გამოსული. წარმოდგენიდან შემოვიდა 215 მ. 27 კ. ხარჯი იყო 81 მ. 52 კ., ასე რომ სამკითხველოს წმიდა შემოსავალი დარჩა 133 მ. 75 კ. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ამისთანა შემოსავალი ძლიერ იშვიათია თელავის სცენაზედ, უნდა აღვიაროთ, რომ ეს აიხსნება გამგე კნ. ს. ი. ჯანდიერის მეცადინეობით, რომელიც დიდი მადლობის ღირსია, რომ გამგეობა იკისრა, რათა სამკითხველოს რამე შემოსავალი ჰქონდა და მისთვის არ დაიშურა თავისი შრომა და მეცადინეობა. აგრეთვე დიდი მადლობის ღირსნი არიან: კნ. ანნა იაგორის ასული ჩოლაყაშვილისა, კნ. მართა ივანეს ასული ჩოლაყაშვილისა, თ-დი ივანე ლევანის ძე ჯანდიერი, რომელთაც ამ წარმოდგენის დროს შესწირეს ფულად, პირველმა 10 მ., მეორემ 5 მ., მესამემ თავის ხარჯით დაიქირავა წარმოდგენისთვის სამხედრო მუსიკა, და აგრეთვე ის პირნი, რომელთაც ბუფეტისთვის უფასოდ გაგზავნეს ღვინო და სხვა.

მერელი

სასამართლო

გუშინ, 7 დეკემბერს, ტფილისის სამოსამართლო პალატაში დაიწყო გარჩევა ნახიჩევანის მომრიგებელ შუა კაცად ნამყოფის ნიკ. იპ. რომანოვსკისა, რომელსაც ბრალად ედებოდა თავის საყვარლის ლესკოვის ქალის მოკვლა.

სასამართლომ გუშინ ვერ მოასწრო საქმის გარჩევა და გადასდო დღისათვის. დაწვრილებით საქმის გარემოებას შემდეგ დავბეჭდავთ.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან")

5 დეკემბერი.

სოფია. გრაფ ლამსდორფის სოფიაში მოსვლა დიდათ უხარიანთ მთავრობის წრეებს.

ლონდონი. ორივე პალატამ საბოლოოდ მიიღო კანონ-პროექტი ხალხის განათლების შესახებ. ხვალ პალატები დაიხურება 4 თებერვლამდე.

დეპუტატთა პალატაში ბანერმანი შეეკითხა: გერმანიას, საფინანსო საქმეების გარდა, აქვს თუ არა სხვა სადავო საქმე ვენეცუელასთან? ბალფური იმ აზრისაა, რომ გერმანიას აქვს ასეთი საქმეო. ჰილი შეეკითხა, დათანხმდება თუ არა შეერთებული შტატები ვენეცუელა ზღვის მხრით შეიკრას. ბალფურმა მიუგო: მებრძოლნი ნეიტრალს არ ჰკითხავენ ამასაო. ჰილი: „განა ომი გამოცხადებულია?"—ბალფური: „თუ ომი არ იყოს, გემებსაც არ დაიჭერდნენ და ზღვასაც არ შეჰკრავდნენ". მერე შეეკითხნენ, მიიღებს თუ არა ინგლისი წინადადებას, სამედიატორო სამართლით დააბოლოოს საქმეო და ბალფურმა მიუგო: ამის პასუხს ვერ მოგცემთო.

პარიჟი. ავსტრიის გაზეთები ვენაში გრაფ ლამსდორფის ჩამოსვლას იუწყებიან. პარიჟის გაზეთები ამბობენ, ეს მოგზაურობა იმის ნიშანია, რომ ავსტრიასა და რუსეთს შუა ბალკანეთის საქმეების შესახებ შეთანხმება მჭიდროაო

ლონდონი. ბალფურმა გამოაცხადა, მთავრობა არ დააგვიანებს შაქრის შესახებ ხელშეკრულობის დამტკიცებასაო. ეს დამტკიცება იმ პირობით მოხდება, რომ ინგლისის საქმე იქმნება სასტიკ საშუალებათა ხმარება თავისის კოლონიების წინააღმდეგ. კრანბორნმა გამოაცხადა, იმ სახელმწიფოთა შორის, რომელთაც ხელ-შეკრულობაზე ხელი არ მოუწერიათ, რუსეთი ერთად-ერთი სახელმწიფოა, რომელმაც გამოაცხადა, რომ თანასწორ ბაჟების დაწესება არღვევს პრინციპს უპირატეს პირობათა შორის-მყოფ სახელმწიფოისას. სრული შეთანხმება არ არის იმ სახელმწიფოებთან, რომელთაც ხელ-შეკრულობაზე ხელი მოაწერეს.

სოფია. ბოლგარიის ბიუჯეტი 1903 წლისა: შემოსავალი 98,107,900. ხარჯები 97,682,871. სამხედრო სამინისტროს ბიუჯეტია 23,310,362.

ნიუ-იორკი. ლაგუარიდგან იტყობინებიან, რომ ეს ქალაქი დღეს შეჰკრეს, და ეს განსაკუთრებით ვენესუელას გემების წინააღმდეგ არის მიმართულიო.

ვენა. გაზეთები იუწყებიან, რომ იმპერიის სამხედრო მინისტრი სამსახურს თავს ანებებსო.

კონსტანტინოპოლი. გრაფ ლამსდორფის მოსვლამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და დიდი ლაპარაკიც გამოიწვია.

6 დეკემბერი

პეტერბურგი. უმაღლესი დეპეშა შინაგან საქმეთა მინისტრის სახელობაზე: „დააბრუნეთ ციმბირიდგან სტუდენტების არეულობის გამო გაგზავნილნი; იმ ქალაქებში, სადაც უმაღლესი სასწავლებლებია, ჯერ-ჯერობით სჯობია იმათ არ იცხოვრონ, მაგრამ უნდა იმისთვისაც იზრუნონ, რომ დაბრუნებულნი ახალ-გაზდები, შეძლებისადაგვარად, თავიანთ ოჯახის მზრუნველობაში ჩავარდნენ იმ პირობათა შორის, რომელიც წესიერებას შეაჩვევს". ეს ბრძანება იმ 58 კაცს შეეხება, რომელნიც ამ ჟამად ციმბირში არიან გაგზავნილნი. 13 სეკდემბრის უმაღლესის ბრძანების ძალით, ეს მოწყალეება შეეხო 62 კაცს, რომელნიც ამ გვარსავე მდგომარეობაში იყვნენ.

ებოძათ: ტაინი სოვეტნიკობა—ერევნის გუბერნატორს გრაფ ტიზენჰაუზენს; თეთრი არწივის ორდენი—ტაინი სოვეტნიკს მიცკევიჩს; 1-ლ ხარისხის ვლადიმირის ორდენი—გენერალ-ადიუტანტს თავ. ჭავჭავაძეს; მე-3 ხარისხის ვლადიმირის ორდენი—ბაქოს ვიცე-გუბერნატორს ლილეევს.

სამხედრო უწყება აცხადებს: 1877—1878 წლების ომების 25 წლის შესრულებისა გამო ხელმწიფე იმპერატორმა უბოძა ყველა ჯარის კაცს, ვინც იმ დროის ნამსახურია და დღესაც მსახურებს, კაცის თავზე ათი თუმანი.

6 დეკემბერს ხელმწიფე-იმპერატორმა სასახლის სამინისტროს ახალი შტატი დაამტკიცა. გენერალ-მაიორს რიძევსკის უმაღლესი მეტად გულითადი მადლობა გამოეცხადა.

ბერბერი. ამბობენ, მოლა ჯარებს აგროვებს, უნდა მოძალეთ მედგრად დაუხვდესო.

ბუდაპეშტი. საფინანსო კომისია. დეპუტატებმა მიიღეს ბრიუსელის კონვენცია შაქრის შესახებ. ფინანსთა მინისტრი ამტკიცებდა, ინგლისს არა აქვს იმის უფლება, რომ თავის კოლონიებში შაქრის მრეწველობა წაახალისოს და შეუძლებელადაც მიმაჩნია ბრიტანიის ოსტ-ინდია შეზღუდოს იმიტომ, რომ ხელშეკრულობის მონაწილე არ არის.

რომი. ერიტრეის ბიუჯეტი პალატამ დაამტკიცა. კოლონიების დაცლაზე დიდმა უმრავლესობამ უარი განაცხადა.

ვაშინგტონი. პალატამ მიიღო გეის წინადადება, რომლის ძალით პალატას უნდა აცნობონ, რომ ინგლისი, გერმანია და ვენეცუელა, შესაძლებელია, ერთმანეთში მორიგდნენ.

ლონდონი. სეფე სიტყვაში აღნიშნულია, რომ სამხრეთ-აფრიკის ომი კარგად დასრულდა და ტრანსვაალისა და ორანჟეს კოლონიები შემოვიერთეთო, იმედია, იქ კეთილი მდგომარეობა დამყარდებაო. მეფე მადლობას უცხადებს იმ სიყვარულისა და ყურადღებისათვის, რომელიც ავადმყოფობის დროს მას გამოუცხადეს. მოხსენებულია შაქრის შესახებ ხელშეკრულობა, ვენეცუელასთან მომხდარი უკმაყოფილება და ინგლის იაპონიის კავშირი, რომელიც შორეულ აღმოსავლეთში საერთო მშვიდობიანობის შენახვას ხელს უწყობსო. ჩინეთთან დადებული სავაჭრო ხელშეკრულობა მაშინ შევა ძალაში, როცა დანარჩენი სახელმწიფოებიც ამგვარსავე დამოკიდებულებას დაიჭერენ ჩინეთთანაო. დასასრულ სიტყვაში მოხსენებულია, რომ ინდოეთში ჰირნახულმა იმატა და მერე პარლამენტის ნამოქმედარია ჩამოთვლილი.

ტაშკენტი. ანდიჟანი სრულებით დაინგრა; ნანგრევებს მოჰყვნენ: სამი მოხელე და ორიც ჯარის-კაცი; დაიჭრა 17 ჯარის კაცი; მკვიდრთაგანი დაიღუპა 150 კაცი, განსაკუთრებით ბავშვები; დაჭრილია სამასამდე. სახელმწიფო შენობათა გარდა დაინგრა 9 ათასამდე (?) მკვიდრთა სახლი და 130-იც რუსისა. ნამანგანი და რუსის სოფლები არ დაზარალებულან. საჭიროა ფულით დახმარება და ხორაგეულობა.

კირილოვი. ცეცხლმა გაანადგურა საერობო გამგეობა, დამზღვევი ბიურო, სამაზრო კრება და ერობის საწყობი წიგნებისა, იარაღებისა და თესლეულობისა.

სოფია. იმ დროს, როცა მაკედონიიდან გადმოხვეწილთა სასარგებლოდ 55 ათას ფრანკით დახმარებაზე ჩამოვარდა ლაპარაკი, მინისტრ-პრეზიდენტმა სთქვა, უკეთესია გადმოხვეწილები ისევ მაკედონიას დავაბრუნოთ, მაგრამ ამათ არ უნდათ უკან დაბრუნება, ეშინიანთ იქაურ არეულობისაო; მკაცრი ზამთარიცაა ახლა და გულ-ქვაობად ჩამოგვართმევენ ასე რო მოვიქცეთო. მინისტრმა მადლობა გამოუცხადა მთავარსა, პრინცესა კლიმენტინას და სლავიანთა საზოგადოებას გადმოხვეწილთა დახმარებისათვის. „ბოლგ. სააგენტო" იუწყება, რომ მაკედონიიდგან უფრო და უფრო გადმოდიანო.

ბერლინი. მოკავშირეთა საბჭომ სადამოჟნო კანონპროექტი იმ ნაირად მიიღო, როგორც რეიხსტაგმა მესამე წაკითხვის დროს მოიწონა.

— პუერტო—კაბელოს ახლო გემების დემონსტრაციამ ისე ჩაიარა, არავინ მომკვდარა. ვენეცუელას გემები დატუსაღებულია.

ვენა. დეპუტატთა პალატაში კერბერმა გამოაცხადა, რომ ავსტრიისა და უნგრეთის მთავრობანი შეთანხმდნენ ახალის სადამოჟნო ტარიფისა და სავაჭრო სადამოჟნო კავშირის შესახებ.

— პალატამ აღკრძალა კანონით, რომ პურით ვაჭრებს არ შეუძლიათ ყიდვა-გასყიდვა წინდადებულის ვადით მოახდინონ.

რეიხსტაგი დათხოვნილია.

ვაშინგტონი. მთავრობა იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ვენეცუელას ზღვის ნაპირების შეკვრა არ შეიწყნარებაო, რადგან ასეთი საშუალება შეერთებულ შტატების გემთა წინააღმდეგი იქნებაო.

ასხაბადი. ანდიჟანის სახლები ერთიანად დაინგრია 3 დეკემბერს მომხდარმა მიწის-ძვრამ. წყალი შეწყდა; სიმშილი მოსალოდნელია. ხორაგეულობას მარგელანში ჰყიდულობენ, რკინის გზის მოსამსახურეთ ავანსს დაურიგებენ. მთელი მატარებელი გადავარდნილა ლიანდაგიდგან. მიწის-ძვრა კიდევ არის. გენერალ-გუბერნატორი ივანოვი ანდიჟანს წავიდა.

6 დეკემბერი.

პეტერბურგი. 6 დეკემბერს, ხელმწიფე იმპერატორის სახელწოდების დღეს, გატჩინის სასახლის ტაძარში ხელმწიფე იმპერატრიცის მარიამ თეოდორეს ასულის, ხელმწიფე მემკვიდრის დიდ მთავარია და დიდ მთავრინათა თანადასწრებით შესრულებულ იქმნა წირვა. სატახტო ქალაქის ყველა ტაძრებში სამადლობელი პარაკლისები შეასრულეს.—საიმპერატორო თეატრებში გაიმართა უფასო წარმოდგენები მოსწავლეთათვის.—მოსკოვიდგან და ბევრ ქალაქებიდგან რუსეთისა მიიღეს დეპეშები შესახებ სამადლობელი პარაკლისების გარდახდისა.—6 დეკემბერს დღესასწაულები გარდაიხადეს: გვარდიის ეკიპაჟმა თანადასწრებით დიდის მთავრის ალექსი ალექსანდრეს ძისა, ჟანდარმთა განსაკუთრებულ კორპუსისა და ლეიბგვარდიის სასროლ პოლკისა.—6 დეკემბერს აკურთხეს მუზეი იმპერატორის ნიკოლოოზ I-ისა.

სოფია. საერო კრებამ გადასდო 50,000 ფრანკი დასახმარებლად მაკედონელთა გადმოსახლებულებისა.

რიაზანი. შესდგა სუვალკის საგუბერნიო კომიტეტი სასოფლო მრეწველობის საჭიროებათა შესახებ მეურნეთა თანადასწრებით.

ლონდონი. სამეფო სიტყვაში აღნიშნულია ზომები მოსასპობად მოლის ავაზაკობისა, მოხსენებულია ამ საქმის დაბოლოების ხელშემშლელი დაბრკოლებანი და გამოცხადებულია სიამოვნება იტალიის მხრივ თავაზიანობის გამო ამ საქმეში. ვენესუელის შესახებ ნათქვამია, რომ ორის წლის განმავლობაში ინგლისის საჩივართა უყურადღებოდ დატოვებამ, თვით-ნებობით მოქმედების გამო წინააღმდეგ ინგლისელთა, მთავრობა იძულებულ-ჰყო მიეღო ზომები მოესპო ესრეთი მოქმედებანი. მთავრობა თანახმად იქცევა გერმანიასთან, რომელსაც აქვს უკმაყოფილობის საბაბი. სიტყვაში აღნიშნულია შეთანხნება შანჰაის ევაკაუციის გამო და ხელშეკრულობა გამიჯვნის შესახებ ეთიოპიასთან.

7 დეკემბერი.

ნოვოროსისკი. დაიწყო გამოსვლა ყოველდღიურმა გაზეთმა „Черноморское Побережье".

ვაშინგტონი. საფრანგეთმა ვენეცუელას მთასრობას მიჰმართა ნოტით, რომლითაც თხოულობს, რომ ყოველი სადაო საქმე, რომელიც კასტროს პრეზიდენტად დანიშვნის შემდეგ, ასტყდა. უეჭველად დაკმაყოფილებულ იქმნასო.

სოფია. მოიტანეს ცხენოსანთ ქანდაკება მეფე-განმთავისუფლებლის ძეგლის ასაგებად.

პეტერბურგის ბირჟა, 3 დეკემბერს.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,80
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	37,37½
ლონდონში ჩეკები	94,75
ბერლინში ,,	46,30
პარიჟში ,,	—
ბირჟის დისკონტი	5—6½%
4% სახელმწიფო რენტა	97⅜ მყიდ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	99½ მყიდ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	94½ მყიდ.
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	485 გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	374½ გაყ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	307 გაყ
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	—
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	—
აქციები ,, " " "	—
,, კასპიის ამხანაგობისა.	—
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	—
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად.	204 წვ. გაყ.

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდგან 15 მაისამდე.

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში-კი—ტფილისისა).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს:—1) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

ბაქოს:—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

ყარსს:—1) საფოსტო № 70/71 საღამოს 10 ს. 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საქონლისა № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

მიხაილოვისა და ბორჯომს:—სამგზავრო № 7 ნაშუადღევის 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

შორაპნამდე:—საღამოს 11 ს. 23 წ. (12 ს. 21 მ.). წა

გ) ბაქოდგან გამოდის:

ტფილის ბათუმისაკენ: —1) საფოსტო № 3 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 43 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 42 წ. (3 ს. 40 წ.); 3) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე) პარასკეობით, პირდაპირ მოსკოვიდგან მოსული)—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

დ) ქუთაისიდგან გამოდის:

ბაქო ტფილისისაკენ:—ღამის 1 ს. 30 წ. (2 ს. 38 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 1 ს. და 40 წ. (2 ს. 38 წ.);

ბათუმისაკენ: 1) ღამის 3 ს. და 10 წ. (4 ს. 8 წ.) 2) ნაშუადღევის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.) 3) საღ. 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

შორაპნისაკენ:— ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

ე) ფოთიდგან გამოდის:

რიონ-ქუთაისამდე:—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

სამტრედია-ბათუმამდე: —ნაშუადღევის 3 ს. 27 წ. (4 ს. 25 წ.).

სამტრედია-ბაქომდე:— საღამოს 10 ს. 49 წ. (11 ს. 47 წ.). და საღამოს 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ,).

განცხადება

ქუთაისში

ს. მ. ბ. თოფურიას

სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფარველობის ქვეშ, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ამერიკულ ვაზის

აფხანაურის სანერგე მიხრან ალექსანდრეს ძის ანანოვისა

(რკინის გზის რიონის სადგურის მახლობლად).

იყიდება ამერიკულ ვაზზედ ერთის წლის დამყნილი ადგილობრივ და ფრანგულ ჯიშის ვაზები, 1000 ცალი 100 მან.

ამერიკულ ვაზის რქა დასამყნობად:

Rupestris Monticola 1000 მეტრი	15 მ.
Riparia gloire de Montpellier	10 „
Berlandieri კირნარევ ნიადაგისათვის.	30 „

ამერიკული რქა დასარგავად:

Rupestris Monticola 1000 მეტრი	5 „
Riparia gloire de Montpellier	3 „
Berlandieri	15 „

მსურველს შეუძლიან დაიკვეთოს ნერგები მომავალ 1903—904 წლ. სეზონისათვის.

ადრესი: Ст. Ріонъ, Михрану Ананову.

(10—471—1)

„GRAND PRIX"
PARIS 1900.

Т-во Высшей парфюмеріи

А. Ралле и К°

Парфюмерія

„Золотая Нива"

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
Краткій историческій очеркъ врачебнаго дѣла въ Грузіи, И. Алхазова	„	30
Тексты и разысканія по армяно-грузинской филологіи IV т. Н Марра	3	
Бальваръ и Іодасафъ, А. Хаханова.	„	60
О грузинскомъ и русскомъ алфавитахъ съ педагогической точки зрѣнія Я. Гогебашвили	„	20
Георгій XII, послѣдній царь Грузіи, Н. Дубровина	1	
Неестественность „естественнаго" метода въ дѣлѣ обученія языкамъ Л. Боцвадзе	„	10
Очерки по исторіи грузинской словесности, А. Хаханова в. III.	3	„
Замѣтки о городскомъ самоуправленіи на кавказѣ Г. Туманова	„	60
მეცნიერებისათვის წამებულნი, სურათებით, თარგმანი ა. ნიკოტინისა	1	„
ველურობა და განათლება, თარგ. ს. ჯულელის	„	30
ისტორია ბავშვის სულის მდგომარეობისა თარგმანი ა. ნატ. გიგაურის	„	50
ბრძნული სიტყვები	„	10
წმიდა აბო ტფილელი	„	30
დაზარილით ტორმესელი, ესპანიური მოთხრობა, თარგმ. ბ. უმიკაშვილისა	„	10
ტფილისი, მ. ჯანაშვილის	„	50
თამარიანი, პოემა ს. გუგუნავასი	„	50
ნამყენი ვაზით ვენახის მოშენება ს. ქვარიანისა	„	5
სურამის ციხე, დ. ჭონქაძის	„	15
კონსტანტინე [illegible], თ. ხუსკივაძისა	„	5

„РОДИНА" иллюстрир. изданіе для семьи, даетъ за ШЕСТЬ р. съ упак. и пересылкой **52** №№ журнала №№ ГАЗЕТЫ №№ „Всемірное Обозрѣн." №№ „РАЗВЛЕЧЕНІЕ". **26** КНИГЪ раздѣл. на двѣ слѣдующія группы: **12** книгъ „Общеполезной библіот." содерж. иллюстр. НОВУЮ ИСТОРІЮ **14** книгъ „Собраніе романовъ": т.-е., 12 книгъ романовъ и въ томъ числѣ иллюстр. сочин. ОСВОБОДИТЕЛЬНАЯ ВОЙНА 1877—78 г.

Сверхъ того, въ книгахъ „Родины" выйдутъ: 1) ШЕСТЬ поэмъ ТЕННИСОНА (около 6.000 стих.) съ рисунк. Доре, Райда, Мэклиза и др. подъ назв. **КОРОЛЕВСКІЯ ИДИЛЛІИ** и 2) иллюстр. 50 рис. Каульбаха, Лейтеманна и друг. поэма Іоганна Гете — „ПОХОЖДЕНІЯ ЛИСА-ХИТРЕЦА", или **РЕЙНЕКЕ-ЛИСЪ**

Кромѣ всего этого, БЕЗПЛАТНО, гг. подп. получатъ: **96 ПРИЛОЖЕНІЙ:** 12 № чтенія для дѣтей, 12 № „Сельское Хозяйство", 12 № „Домашній театръ", 12 № МОДНАГО журнала, 12 № листовъ выкроекъ, 12 № лист. рисунковъ для любительск. работъ, 12 № лист. узоровъ въ красн., 12 № нотъ. Сверхъ всего, БЕЗПЛАТНО: худож. воспроизв. **ВОСЕМЬ КАРТИНЪ**

ОТРЫВОЧНЫЙ календарь на 12 мѣс. и КАЛЕНДАРЬ-СПРАВОЧНИКЪ на 1903 г. — Подробная программа по требованію высылается безплатно.

ПОДПИСНАЯ цѣна за годъ ШЕСТЬ р. РАЗСРОЧКА: при подпискѣ 2 р., 1 марта 1 р., 1 іюня 1 р., 1 августа 1 р. и 1 сентября 1 р. РЕДАКЦІЯ „РОДИНЫ": С.-Петерб., Лиговская, д. 114.

4—3

Дозволено цензурою. Тифлисъ, 7 декабря 1902 г. Типографія «Гутенбергъ» (кн. Гр. Н. Діасамидзе.) Дворцовая, д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი. ხარაჯიშვილი.